

ეპოქალური მოვლენა

სხვა მუზეუმი სად არი,
ამის მსგავსი და სადარი...



ჭეშმარიტად უპრიანია, ამ უდიდეს
ქართულ ქმნილებას ხელოვნების დი-
დი მემკვრელის **გია ჯოხთაბერიძის**
სახელით მოვიხსენიებდეთ!



არც ვიცი, „ქართული სახვითი ხელოვნების მუზე-
უმის“ დაბადების ფაქტი რას შევადარო. ეს ექსტ-
რაორდინარული, ეპოქალური მოვლენაა!

დამთავრდა პროექტირებისა და მშენებლობის ექ-
ვსწლიანი ეპოპეა, რასაც წინ უძღოდა კოლექციის შერ-
ჩევა-შეძენის მრავალწლიანი სამუშაო. დღის სინათ-
ლე ნახა მხატვრების სახელოსნოებში წლების მანძილზე
„მთვლემარე“ ფერტილოებმა, რომლებიც ამიერიდან
სრულიად საქართველოსა და მთელი სამყაროს კუთ-
ვნილებაა, — ეროვნული სიამაყის ობიექტი. გვაქვს სრუ-
ლი უფლება, ქალბატონი მანანა შევარდნაძე და ბატონი
გია ჯოხთაბერიძე მოვიხსენიოთ ხელოვნების დიდი მე-
ცენატების გუგენჰაიმების, როკფელერების, ტრეტი-
აკოვის და სხვათა გვერდით.

ვაკვირდები რა ბატონ გია ჯოხთაბერიძის მოღვა-
ნეობას, მის მოქალაქეობრივ მრწამსს, არ გამოვ-
რიცხავ, წლების შემდეგ საქართველოს რეგიონებში
აღმოცენდეს ჯოხთაბერიძის სახვითი ხელოვნების კე-
რები, მსგავსად გუგენჰაიმის მუზეუმებისა ბილბაო-
ში, აბუ დაბიში, ჰელსინკში, ვილნიუსში...

ჯერ კიდევ მუზეუმის გახსნამდე ხელოვნებათმცოდ-
ნეებმა და მხატვრებმა კოლექციას მაღალი შეფასება
მისცეს, ზოგადად კი აღვნიშნავ, ამ მუზეუმით საქარ-
თველომ მსოფლიოს დაანახა, რომ ჩვენ შეგვიძლია არა
მხოლოდ შექმნა, არამედ კარგად ჩვენებაც.

ერთია სახელოსნოებიდან და გამოფენებიდან მი-

ღებული შთაბეჭდილება და მეორეა ეფექტი ერთობლი-
ობაში. ეს ეფექტი გამოვსახებო. ისიც მინდა აღვნიშნო,
რომ ერთიანმა გამოფენამ სიდიდეთა ტრადიციული
იერარქია ნაწილობრივ შეცვალა.

იქნებ ამ მოვლენამ გაპრაგმატებული ქართული სა-
ზოგადოება, ხელისუფლება ახლანდელი, მომავალი, მი-
ახვედროს, რომ კულტურა არა მხოლოდ ერისა და ქვეყნის
სახეა, არამედ კოლოსალური ძალის მოკავშირე ეკონო-
მიკური და პოლიტიკური პრობლემების გადაწყვეტაში,
რომ სულიერებისა და კულტურის გარეშე, ქვეყანა მწარ-
მოებელ და მომხმარებელ გეოგრაფიულ ტერიტორიად
იქცევა.

ბუნებრივია, მე როგორც არქიტექტორი, ვაღიგებუ-
ლი ვარ და სურვილიც მაქვს, გამოვთქვა აზრი კომპლექ-
სის არქიტექტურაზე.

რუსთაველის გამზირი არქიტექტურული სტილების
უნიკალური ექსპოზიციაა, განსხვავებულია თანაარსე-
ბობისა და რევერანსის ბრწყინვალე მაგალითია. მისი
უნიკალობა და მომხიბვლელობა არქიტექტურული სტი-
ლების თავსებადობა და თანაარსებობაა. ხომ არ არის
ეს ქართული მენტალობის, ხასიათის, ტოლერანტობის,
მრავალხმიანობის, პოლიფონიურობის არქიტექტურუ-
ლი გამოვლინება? შენობა სახიერად და ღირსების შეგ-
რძნებით, მაგრამ თავაზიანად შემოვიდა რუსთაველის
გამზირის ანსამბლში.

თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი „ახალი გოთი-“

კის“ საინტერესო ქართული ინტერპრეტაცია და ახა-
ლი ინტონაციაა რუსთაველის გამზირის ანსამბლში.
დახვეწილი ფრაგმენტები, ნატიფი დეტალები ქმნიან ზე-
იმურობას. სამუზეუმო კომპლექსს უკავია მთელი კვარ-
ტალი, ჰკრავს რუსთაველის გამზირს, ჯორჯაძისა და
გუდიაშვილის ქუჩებს, ფასადები გადაწყვეტილია ოთხი
არქიტექტურული სტილით — ახალი გოთიკა, პოსტმო-
დერნი, დეკონსტრუქტივიზმი, ხოლო ინტერიერი მინი-
მალისტურია, სტერილური, რაც ქმნის იდეალურ ფონს
ექსპოზიციისთვის.


მადლობა კომპლექსის ავტორებს, არქიტექტორებს,
არჩილ და გიორგი ქურდიანებს. ისინი ღირსეულად აგ-
რძელებენ დიდი წინაპრების არქიტექტურულ ტრადი-
ციებს.

ვახტანგ დავითაია,

რუსთაველისა და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი,
არქიტექტურის საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი,
ამერიკის არქიტექტორთა ინსტიტუტის საპატიო წევრი

*P. S. რომ არაფერი ვთქვათ „ბლექ სი არენაზე“, მუსი-
კის ამ იშვიათ სამყაროზე, საქართველოს თეატრალური
შენობების რეაბილიტაციაზე, დიდი სახსრები გაიღო ბა-
ტონმა ბიძინა ივანიშვილმა, ქართულ სახვით ხელოვნე-
ბას „მიხედა“ ბატონმა გიბ ჯოხთაბერიძემ... იქნებ ქარ-
თულ არქიტექტურასაც გამოუჩინდეს გულშემატიკვარი.*

საქართველო ნამდვილი ომში სააკაშვილმა ჩაითრია!



„იმის მაგივრად, რომ სააკაშვილი გაესამართლე-
ბინათ, როგორც დამნაშავე, ივანიშვილის ხელისუფ-
ლებამ კოშპიბიტაციის კურსი აირჩია. სააკაშვილმა ჩა-
ითრია საქართველო წამგებიან ომში და დაიწყო ეს
ომი“, – ეს განცხადება, ნინო ბურჯანაძემ მოსკოვ-
ში ტელეკომპანია „პირველი არხის“ ეთერში გააკეთა.
ნინო ბურჯანაძემ საქართველოში დასავლეთის
გავლენაზე ისაუბრა და განაცხადა, რომ საქართვე-
ლოში არჩევნები არ ტარდება, შედეგები კი ისეთია,
როგორიც შეერთებული შტატების საელჩოს სურს.
როდესაც საქართველო, პრაქტიკულად, დაყოფილია,
არსებობს 2 გადაუჭრელი კონფლიქტი და რუსეთის
სამხედრო ბაზები საქართველოს ტერიტორიაზეა
განთავსებული, ნატოში გაწევრება, პრაქტიკულად,
შეუძლებელია!..

გიორგი კვირიკაშვილი პროფესიას იცვლის

საპარტამენტო ყოფილი პრემიერ-მინისტრი გიორგი
კვირიკაშვილი EBRD-ის მრჩეველი გახდა.

ამის შესახებ ინფორმაცია ევროპის რეკონსტრუქ-
ციისა და განვითარების ბანკთან გაფორმებული ხელ-
შეკრულების შესახებ კვირიკაშვილმა გამოცემა BMG-
ის დაუდასტურა. მისი განცხადებით, მისი ახალი თა-
ნამდებობა საქართველოში ევრობანკის ინიციატივით
შექმნილი ინვესტორთა საბჭოს გამოცდილების გაზი-
არებასა და უზბეკეთის მთავრობისთვის საჯარო და
კერძო სტრუქტურებს შორის დიალოგის წარმოების
პროცესში დახმარების განცეას გულისხმობს.



შეწყალებას არ ექვემდებარება



„ჩვენ არანაირი მოლოდინი არ გვაქვს ამ
საკითხზე. ეს პრეზიდენტის დისკრეციული უფ-
ლებაა. მე ვფიქრობ, კონკრეტული ადამიანე-
ბი იმსახურებენ შეწყალებას, თუმცა არის და-
ნაშაულები, რომლებიც მოწყალეობას და შეწყა-
ლებას არ ექვემდებარება. მე ასეთი აზრი მაქვს
ამაზე“ – ამბობს გია ვოლსკი მერაბიშვილის
შესაძლო შეწყალებასთან დაკავშირებით,
რისკენაც პოლიტიკური პარტიების ნაწილი
პრეზიდენტს მოუწოდებს.

„ვაშაძე საზოგადოებას ჰპირდება, რომ თუ-
კი გაიმარჯვებს, რაც პრაქტიკულად, გამო-
რიცხულია, შეინჯალეს ერთს, მეორეს, მესამეს,
ჩამოიყვანს სააკაშვილს და გააკეთებს იმას, რაც მას
კონსტიტუციის უფლებებით
არ აქვს განსაზღვრული“, – განაცხადა გია ვოლსკიმ.

ზურაბიშვილი მედიას შეტევასა და დისკრედიტაციას აღანაშაულებს

„ძართული ოცნების“ მხარდაჭერილი, პრეზიდენ-
ტობის დამოუკიდებელი კანდიდატი მედიას აკრიტიკებს
და აცხადებს, რომ ჟურნალისტები ორიენტირებული
არიან, გააშუქონ ინციდენტები და არაფის აინტერესებს
კანდიდატის მოსახლეობასთან შესვდრა. მისი თქმით,
როცა ვინმე „გამოხტება“ და მას მოლაღატეს დაუძახებს,
მედა სწორედ ამაზე აკეთებს აქცენტს.

სალომე ზურაბიშვილი ამბობს, რომ ჟურნალისტები მის წინააღმდეგ დიდი
ხანია, სხვადასხვა მეთოდებით მოქმედებენ და სწორედ მედიის მხრიდან პროპა-
განდის მიზეზია ის, რომ მასზე სხვადასხვა ინფორმაცია ვრცელდება. ზურაბიშვილი
ამბობს, რომ მის რელიგიურ მრწამსზე თუ საგარეო პოლიტიკურ კურსზე მას-
მედიის წარმომადგენლები ცრუ ინფორმაციას მიზანმიმართულად ავრცელებენ.

„პრაქტიკულად, ყველა კუთხით მოდის ეს შეტევები, ბოლო ის არის რომ თურ-
მე არ ვყოფილვარ მართლმადიდებელი და მომხრე ვარ ერთნაირსქესიანთა ქორწინების.
აზრი პრაქტიკულად არა აქვს, რომ დაიწყო თავდაცვითი საქმე. კიდევ ერთი შემაშ-
ფოთებული დისკრედიტაცია არის, რომელიც ვრცელდება საზღვარგარეთ. იქაურ
საზოგადოებაში გაავრცელო, რომ მე ვარ პრორუსული, რომ იქი ძალა არის ქვე-
ყანაში, ერთი იცავს მშობლიურ პატრიოტულ ღირებულებებს, მეორე – რუსულ იდე-
ოლოგიას. იქ როცა ჩვენ საყრდენს იდეოლოგიურად უტყვენ, ამან შეიძლება ძალი-
ან მძიმე გავლენა მოახდინოს ჩვენი ქვეყნის სახელზე“, – განაცხადა ზურაბიშვილ-
მა ურეკში, მოსახლეობასთან შეხვედრისას.



ქვეყნის მთავარი გამოწვევა განათლებაა

მსოფლიო ბანკის მიერ საქართველოში განსორციელებული პროექტები განიხილეს
და სამომავლო თანამშრომლობის ახალ მიმართულებებზე ისაუბრეს დარგობრივი ეკო-
ნომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარემ რომან კაკულიამ და
მსოფლიო ბანკის სამხრეთ კავკასიის რეგიონულმა დირექტორმა მერსი ტემბონმა გუშინ
გამართულ შეხვედრაზე.



მერსი ტემბონმა ისაუბრა 2019-
2022 წლებში მსოფლიო ბანკის სა-
ქართველოსთან თანამშრომლობის
ძირითადი მიმართულებებისა და
ხედვების შესახებ. შეხვედრაზე გა-
ანალიზეს ქვეყნის განვითარების
პროცესში არსებული გამოწვევები
და შესაძლებლობები.

მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ნამდვილი წევრებით შეივსება

ბანცხადება

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადე-
მია აცხადებს ვაკანსიებს საქართველოს მეცნიერე-
ბათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრების
(აკადემიკოსების) ასარჩევად შემდეგ სპეციალობებში:



სპეციალობა	ვაკანსიათა რაოდენობა
მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილება	
ფიზიკა	1
ექსპერიმენტული ფიზიკა	1
ბაიოქიმიის, მემბრანული მედიცინის, ენერგეტიკისა და მათთან დაკავშირებული მეცნიერებების განყოფილება	
სამთო მეცნიერება	1
მანქანათა მექანიკა	1
საგზაო – სატრანსპორტო სისტემები	1
დამზადების შემსრულებელ მეცნიერებათა განყოფილება	
გეოგრაფია	1
ფიზიოლოგიისა და მედიცინის განყოფილება	
მორფოლოგია (ადამიანის ანატომია, ტოპოგრაფიული ანატომია, ჰისტოლოგია)	1
ფიზიოლოგია, ბიოქიმია	1
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა განყოფილება	
მცენარეთა დაცვა	1
ბიოლოგიურ მეცნიერებათა განყოფილება	
პოპულაციური გენეტიკა	1
პალეობიოლოგია	1
საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება	
პოლიტოლოგია, ფილოსოფია	1
დემოგრაფია	1
ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილება	
ენა, ლიტერატურა, კულტურა	1

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნუ-
ლი აკადემიის ნამდვილ წევრად (აკადე-
მიკოსად) შეიძლება აირჩეს საქართველოს
მოქალაქე, საქართველოში მოღვაწე მაღა-
ლი სამეცნიერო ავტორიტეტის მქონე მეც-
ნიერი, რომელსაც საერთაშორისო დონის
წვლილი აქვს შეტანილი მეცნიერების გან-
ვითარებაში.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნუ-
ლი აკადემიის ნამდვილი წევრობის (აკა-
დემიკოსობის) კანდიდატთა წამოყენების
უფლება აქვთ: საქართველოს მეცნიერე-
ბათა ეროვნული აკადემიის წევრებს, სა-
მეცნიერო დაწესებულებებს, სახელმწიფო
უმაღლეს სასწავლებლებსა და სამეცნიე-
რო საზოგადოებებს.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნუ-
ლი აკადემიის აკადემიკოსობის კანდიდა-
ტთა მიერ წარმოდგენილ უნდა იქნეს შემ-
დეგი საბუთები (ორ ეგზემპლარად): სა-
მეცნიერო ან აკადემიური საბჭოს, აკადე-
მიის წევრის (წევრების) წარდგინება სა-
თანადო დასაბუთებით, დამოუკიდებელი წარ-
მდგენის ხელმოწერითა და იმ დაწესებუ-
ლების ბეჭდით, სადაც იგი მუშაობს, კან-
დიდატის ავტობიოგრაფია, ფოტო 4/6, სა-
მეცნიერო ხარისხის დამადასტურებელი
დიპლომის ასლი, მონაცემები შრომითი და
სამეცნიერო საქმიანობის შესახებ (CV), ძი-
რითადი სამეცნიერო შრომების ჩამონათ-
ვალი (საერთაშორისო ჟურნალებში გა-
მოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები
აღინიშნება ვარსკვლავით), დარგის სპე-
ციალისტის მიერ კანდიდატის სამეცნიე-

რო მოღვაწეობის შეფასება.

კანდიდატის პირადობის მოწმობის ას-
ლი, ცნობა სამუშაო ადგილიდან საქარ-
თველოში მისი მოღვაწეობის დასადასტუ-
რებლად.

საბუთები რეგისტრაციისა და არჩე-
ვებში მონაწილეობისათვის იგზავნება სა-
ქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკა-
დემიაში. განცხადებები მიიღება 2018 წლის
26 სექტემბრიდან 22 ოქტომბრის ჩათვლით
შემდეგ მისამართზე: თბილისი, რუსთავე-
ლის გამზ., 52, საქართველოს მეცნიერება-
თა ეროვნული აკადემია (კადრების სამ-
მართველო, IV სართული, ოთახი 409, ტელ.
2-93-29-86). საბუთები მიიღება ყოველ სა-
მუშაო დღეს 11-დან 17 საათამდე.

აღნიშნული განცხადება და კანდიდა-
ტის მონაცემები (CV), განთავსდება სა-
ქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკა-
დემიის ვებგვერდზე www.science.org.ge,
რისთვისაც წარმოდგენილ უნდა იქნეს
CV-ის ელექტრონული ვერსიაც.

შენიშვნა: დამატებითი ინფორმაციის
მიღება შესაძლებელია კადრების სამ-
მართველოში.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნუ-
ლი აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი
ბიორბი კვესიტაძე

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული
აკადემიის აკადემიკოს-მდივნის მოვ. შემსრ.,
აკად. წევრ-კორ. რამაზ ხუროძე



კონგრესმენი რასელი:

„რუსი ოლიგარქია საქართველოში“

ანუ საიდან ამოდის მზე ჩვენში – დასავლეთიდან თუ ჩრდილოეთიდან?!

ახალშბ კოლექტიურმა „უფროსმა ძმამ“ მორიგი გაკვეთილი ჩაგვიტარა: ცოტა გაგვანათლა, ცოტაც დაგვამუნათა და პანია ყურიც აგვიწია. ჩვენნიარი პატარა ქვეყნისთვის ეს „ნორმალური“ მოვლენაა: ჩვენზე კარგად ჩვენივე სიზმრები „უფროსმა ძმებმა“ იცნან:

ერთი – ოკეანის გადაღმიდან უკეთ ხედავს და აღიქვამს რა ხდება აქ. მეორეს – ტერიტორიულად უფრო ახლო მყოფ ჩრდი-

ლოელს, კავკასიონის ქედიც არ უშლის ხელს „მხედველობაში“... ორივენი ერთობ შეწუხებული არიან ჩვენი მდგომარეობით, დღე-ღამეს ათენებენ ჩვენზე ზრუნვით, არიქა, „განსაცვიფრებელი დემოკრატიის“ გზაზე ბაჯუბაჯისას, ეს თოთო ბავშვი რაიმე ფარსაგს არ გადაეყაროსო. დაახლოებით ისე, დათვმა რომ იცის: ბელს ისეთი სიყვარულით ჩაიხუტებს, საბოლოოდ გაგუდავს კიდეც.

...ამას წინათ მსოფლიოს ერთ-ერთ ავტორიტეტულ გამოცემაში დასავლეთში ერთგვარ ცნობილმა ჟურნალისტმა ნამეტნავად მუქი სათვალთ მიმოიხილა ჩვენი ქვეყანა, მისი საშინაო და საგარეო პოლიტიკა, მეზობლებთან ურთიერთობა. ბოლოს დასასკვნა, რომ მაკაქინის ბარდაცვალების შემდეგ ოგლად დარჩენილას თუ არ „მივხვებოდათ“ ჩვენი რჩევა-ბრძოლა და რამოვინადაც იბრძოდა, ალბათ, გზა აბრეშვით.

„ფაინენშელ თაიმის“ მიმოხილვას კომპეტენტური, ღირსეული, ნამდვილად ევროპული პასუხი გასცა იმ დროისთვის პრემიერ-მინისტრის მრჩეველის პოსტიდან უკვე გადამდგარმა ჩვენი დიპლომატიის მეთრმა თედო ჯაფარიძემ, რაც დაუყოვნებლივ(!), ჩემთვისაც კი გასაოცარი(!) ოპერატიულობით დაბეჭდა ამ, ვიმეორებ, მთელი მსოფლიოს პოლიტიკური და ფინანსური წრეებისთვის ანგარიშგასანებმა ორგანომ (ეს ცალკე თემაა, ერთობ საინტერესო და ამის შესახებ მოგვიანებით).

რალამც სიტყვამ პუბლიკაციაზე რეაგირების თემა მოიტანა, სათქმელია, რომ, არა მგონია, ჩვენს ოფიციალურ სტრუქტურებს შეუძინეველი დაეტოვებინათ წერილი იმ გაზეთისა, რომელსაც მსოფლიოში მილიონობით მკითხველი ჰყავს. მაგრამ, ამის შესახებ საჯაროდ არვის უთქვამს. ამიტომ, ეს ჩემ ვარაუდად მიიღეთ, რამეთუ ჩვენი სახელისუფლებო სტრუქტურები გახსნილები არიან მხოლოდ... კანაფის (ან, მსგავს) თემაში.

პრაქტიკა გვარწმუნებს, რომ დასავლური ელიტარული მედია იქცევა, როგორც წესი, მოპასუხის ავტორიტეტის ადეკვატურად, ანუ, დიდი ალბათობით შეიძლება დავასკვნა, რომ ქართული მხარის ოფიციალურ პასუხში მნიშვნელოვანი, ანუ, გამოსაქვეყნებელი, ვერაფერი დაინახეს და, აქედან გამომდინარე, ნულოვანი რეაქცია აბსოლუტურად ჩვეულებრივი მოვლენა გახლავთ. ისე, რამე საინტერესო რომ მომხდარიყო, სიმონ კილაძეს რეაგირებაში ვერც ვერავინ დაასწრებდა...

ამ ვითარებაში საინტერესო და, ცოტა არ იყოს, დამაბნეველია ის, რომ ინტერნეტში „შემოვარდა“ ერთი ვიდეოჩანაწერი, რომელიც პირდაპირ ეხმიანება დღევანდელ პოლიტიკურ კლიმატს და რეალობას. ეს ჩანაწერი ზუსტად ორი წლის წინანდელია. იგი დარჩა ქართველი საზოგადოების ყურადღების მიღმა. და დღეს, მისი ახლიდან გასაჯაროება არავითარ სხვა მიზანს არ ისახავს, გარდა იმისა, რომ ზეგავლენა მოახდინოს ქვეყნის საპრეზიდენტო არჩევნებზე. ვიმეორებ, ორი წლის წინანდელი კი არის, მაგრამ არაფერი შეცვლილა არც შეფასებებში, არც მიდგომებში, არც „მუქარებში“, არც მოთხოვნებში...

თავად განსაკუთრებული „ფაინენშელ ტაიმის“ შეფასებები წყლის ორი წვეთივით ჰგავს ამ გამოსვლაში გაჟღერებულ შეფასება-დასკვნებს, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ გაზეთის ფურცლებზე ჟურნალისტი „ბაზრობს“, აშშ კონგრესის ტრიბუნიდან კი ამავე კონგრესის უსაფრთხოების ქვეკომიტეტის თავმჯდომარე „მჭევრმეტყველებს“. გავლენა, შესაძლებლობები, რეკომენდაციები, მოთხოვნები დიამეტრულად განსხვავდება ერთმანეთისგან. კონგრესმენი იქამდეც კი მივიდა, აშშ ეროვნულ ინტერესებს თითქმის გაუთანაბრა იმდროინდელი არჩევნები და შეშფოთება გამოთქვა მის საგარეუდო შედეგებთან

დაკავშირებით. და პრევენციის მიზნით მოითხოვა დაახლოებით ისეთი სანქციები, ახლა რომ რუსეთს დაუწესდა.

ბატონი რასელის გამოსვლა პირდაპირი ეთერით გადაცემოდა კონგრესის სხდომათა დარბაზიდან, რაც, თუ ოპერატიული კომენტარებით ვიმსჯელებთ, არაერთმა ჩვენმა მოქალაქემ ნახა, ანუ მავანისთვის ამ გამოსვლაზე საჯარო საუბარი უცხო არ იქნება. დღეს 2018 წლის 25 სექტემბერია, გავიდა ორი წელი და 13 დღე, ქვეყნის საზოგადოებისთვის კი ჯერაც უცნობია ჩვენი ოფიციალური სტრუქტურების რეაქცია. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენმა საგარეო საქმეთა უწყებამ, მაშინდელი „ნარცისის“ მინისტრობისას ვერ (ან, არ) „შეამჩნია“ ეს გამოსვლა. არ „შეამჩნევდა“ და მისი აჯობებდა: ვერ გადაარჩენდა პრემიერ კვირიკაშვილის განსაკუთრებული მფარველობა. უბრალოდ, კულუარებში „ნაიფორხილეს“, ბრალმდებელს პირად საუბრებში „აუხსნეს“ რაღაცები და, რა თქმა უნდა, ყველაფერი მიაჩუმათეს. ამას იმით „ხსნიდნენ“, რომ ხმაური არ წაადგებოდა საქართველოს „სახელმწიფო ინტერესებს“.

ამ „ჯენტილმენობით“ შეიცვალა რამე? არაფერი!!!!

ჰოდა, სწორედ ამიტომაც მივმართავ ყოფილ და ახლანდელ „ნარცისებს“, თანაც მერამდენვერს:

– **ვის ან რას უმაღავდით და უმაღავთ?**

– **ვის ან რას ელოდებოდით და ელოდებით?**

– **მართლმ გგონიათ საკმარისი ან „გურუსის“ განსაზღვრებად ის ინტერვიუ, რომელიც პრემიერმა ბახტაძემ ტელეკომპანია „ფოქს“ მისცა? (დარწმუნებული ბრძანდებოდით, ეს ტელეკომპანია ჩვენს თავს მოყვარეობას კი ისაღებებდა, მაგრამ ამერიკელ კონგრესმენ-სენატორებს რასალის გამოსვლის შემდეგ დატოვებულ შთაბეჭდილებას დიამეტრულად ვერ შეუცვლის.)**

– **საპარტეზლოში რას იფიქრებან, არ ბანდირებსაბთ?**

ჯერჯერობით, ერთადერთი, რაც ამ ვითარებაში აშკარად ჩანს, გახლავთ კონგრესმენ რასელის წარმოთქმული სიტყვის ვიდეოჩანაწერი და ჩვენი მაშინდელი თუ დღევანდელი სირაქლემის პოზიცია, გამაგრებული პოეტური შეძახილით: „არსაიდან ხმა, არსით ძახილი“, ანუ ჩვენი მმართველი ძალის ტრადიციული „ინსტრუმენტი“ – დუმილი!!!

დუმილი, იცოცხლე, დიპლომატიურ პრაქტიკაში ჩვეული მოვლენაა. უწინარესად,

მაშინ, როცა არაფრად აგდებ რომელიმე იქაური „მაჭუტაძისა“ თუ „დუგინის“ ბოდვას. ასეთ შემთხვევაში, იქაც-აქაც, ყურს არავინ აპარტყუნებს. და ეს ნორმალურია.

ზოგჯერ, არცთუ იშვიათად, ასეთივე დუმილს შევხვდებით მაშინ, როცა რომელიმე პოლიტიკური დინოზავრი „დააგუგუნებს“ რამეს ისეთს, რომელიც წყალს ჩაგაგუბინებს პირში. მაგრამ, ასეთ შემთხვევაში დუმილის საფუძველი სულ სხვაა. ან, დაახლოებით, ისეთი, მგლისა და კრავის არაკი რომ მოგვითხრობს.

კონგრესმენ რასელის შემთხვევაში, მგონი, სწორედ ამ შემთხვევასთან გვკონდა საქმე და ეს „შემთხვევა“ რაღაც „სახელმწიფო ინტერესების“ სამოსელში შეფუთული. ადრე, თუ გასოვთ, ევროკავშირის ელჩმა ნამოაყრანტალა „მილოცვის“ მსგავსი სისულელე სამხრეთ ოსეთის ენ. პრეზიდენტთან და ჩვენმა საგარეო უწყებამ (ამ ელჩის პარალელურად) მიკიბ-მოკიბებით დაიძვრინა საზოგადოების აღშფოთებისგან თავი. რეალურად კი **დუმილით!!! გადაყლაბა კაი აღიყური**. მაშინაც ვწერდი და ახლაც გავიმეორებ: თავმოყვარეობის და ღირსების მაღალი გრძნობა თუ არ გაქვს, სახელმწიფო არ ხარ!

ძალიან არ მინდა დიპლომატიური თუ ჟურნალისტური ეტიკეტი ამჯერადაც დავარღვიო, მაგრამ მე, რიგით მოქალაქეს და პროფესიონალს, არავითარი ვალდებულება არ მაქვს მოვერიოდ ან ანგარიში გავუწიო ყალბ(!!!) სახელმწიფო ინტერესებს, არც ჩემი ქვეყნის კანაფისტ-მარიხუანისტ „ხალხის რჩეულებს“ და, მით უმეტეს, „ვიღაც გადამთიელს“, აშშ კონგრესმენი რომ ჰქვია, რომელიც მოურიდებლად ტუქსასს ჩემს ქვეყანას, მის მთავრობას (მიუხედავად იმისა, მომწონს იგი თუ არა) და მხოლოდ იმით ყელყელობს, რომ მის უკან გამაძლარი, ფულიანი, გავლენიანი და ბევრისთვის კერპი ქვეყანა დგას.

ბოდა, მინდა ყველამ იცოდეს: რომელიმე პოლიტიკური დინოზავრის, მით უმეტეს, დასავლეთის წარმომადგენლის თითოთი დაქნევის შემთხვევაში, ჩვენი მთავრობის დუმილს სიბრძნეს კი არ უწოდებენ ქუთაისის „ბალის კიდებზე“ ტრადიციულად შეკრებილი ნაღდი კაცები, განათლებული და ენამოსწრებული პატრიოტები, არამედ... „ჩასვრას“!!!

დიდი გულსიტკივილით უნდა აღვნიშნო, რომ ამ ბოლო პერიოდში ეს თქვენი, ანუ ჩვენი მთავრობის, მმართველი ძალის პირველი „ჩასვრა“ არ გახლავთ. კი მინდა უკანასკნელი იყოს, მაგრამ... რა ვუყთო, მგონი, ჯერ კიდევ საბავშვო ბალის ასაკში ხართ და არ გაადვილებათ, გადაეჩვიოთ „ჩასვრას“ და... თქვენ წარმოიდგინეთ, ჩასვრისთვის ჭამასაც ფაქტები არ მომთხოვთ, ცოტა როდია.

...ისე, იმავით უნდა გამოვტყუდო, რომ „ფაინენშელ ტაიმის“ პუბლიკაციის, კონგრესში ბატონი რასელის გამოსვლის, ევროპარლამენტში ზომიერად გამაყინდა დავუბატონ ინტერვიუების შემდეგ მრავალ შთაბეჭდილება, რომ მათ „მაგარი“ ინფორმაციები ჰქავთ საქართველოში. ვიღაცას სულ „მისუთი კოლონა“ რომ ელანდებან, ებაბ, „მეამცხაძე“ არსებობს?...

ამ ინფორმაციების წარმოშობა, ბიოგრაფია, „სიფათი“ (თუნდაც, გასილაქებული კანდედაკის) ტიპურია, მათი სტილი საყოველთაოდ ცნობილია. მით უმეტეს, კონგრესმენ რასელისთვის, რამეთუ იმ ცნობილ „ინტუიტორს“, სადაც სააკაშვილებს, იუშენკოებს, ლომაიებს, დარჩიაშვილებს და მათ „კმარელ“ და-ძმებს“ აფრთხილებენ, სწორედ რასელის ქვეკომიტეტი მფარველობს და კურატორობს.

როგორც ვიდეოჩანაწერიდან ჩანს, ამ ნაცნობი სტილიდან გამომდინარე, ბატონმა რასელმა კარგი დეკლამატორივით პროფესიულად ჩაარაკრაკა საკუთარი გამოსვლის ისტორიული ნაწილი, მეტი... გაცდები კაცი, ასე კარგად როგორ მოახერხა კონგრესმენმა რასელმა ჩვენი „მძინვარე“ ოპოზიციის არა მარტო მრავალწლიანი სლოგანის და შეფასებების, არამედ რიტორიკული ტრაფარეტების ათვისება.

ახლა მათ საყურადღებოდ, ვისაც პირდაპირ ეხება „ჩასვრა“: ვეკითხებით მთავრობის აპარატში მოკალათებული ჭუჭულაშვილ-ქათამაძეებს, პარლამენტის უმრავლესობის ნამეტნავად „პროგრესულ“ ბირთვს და მის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარეს სოფიო ქცარავას, საგარეო საქმეთა სამინისტროს „საიდანაც ქარი ქოდა“ – მინისტრს, მის მოადგილეებს და ჩვენს ელჩს ვაშინგტონში, „ქართული ოცნების“ მამლახინებსა და მაღალანაზღაურებად კოლექტიური „კაცმანების“ და ყველა მთავრობის უცვლელ „პიარშიკებს“:

– **ამ კოლექტიურ „რასელს“ პასუხის გაცემა არ სჭირდება თუ უსიტყვოდ დავუჯეროთ და მივიღოთ სახელმძღვანელო მითითებად?**

– **კოლექტიური ამერიკული თუ ევროპული „რასელის“ განცხადებები მართო სურვილების და პირადი მოსაზრებების გაფლენებად აღვიქვამთ? არ გვივინებათ, რომ ასეთი „გამოსვლები“ და პუბლიკაციები არის მცდელობა პირდაპირ თუ ირიბად ჩაერიონ საქართველოს საშინაო საქმეებში და ნებისთ თუ უნებლით ზეგავლენა მოახდინონ საპრეზიდენტო არჩევნებზე?**


– **ოკუპანტი-კლოუნი ჟირინოვსკი რომ გამოსულიყო მსგავსი სიტყვით, მაშინაც დადუმდებოდით თუ ატეხავდით გნიახს?**

– **არის თუ არა სხვაობა იმაში, „უფროსი ძმა“ საიდან გასწავლის ჭკუას ან დაგტუქსავს – დუმიდან თუ კონგრესიდან? მართლა ფიქრობთ, რომ დუმიდან თითის ქნევა აგრესიაა (კი, ასეა!), ხოლო კონგრესიდან დატუქსავა – მეგობრული რჩევა-დარიგება-სურვილი, აღსავსე სიყვარულითა და თანასწორობის სულისკვეთებით?**

– **ბოლოს და ბოლოს, გაარკვიეთ თქვენთვის საიდან ამოდის მზე: ჩრდილოეთიდან (როგორც წინათ) თუ დასავლეთიდან (როგორც ახლა)?**

და ვიდრე საზოგადოების ამ შეკითხვებზე პასუხს გავიგებთ, მანამდე შენ დაუჯა, ჭუჭულაშვილი, შენ კი შე მოსცხე ტაში, კუკური!

ნუზხარ ფოფხაძე



ოსი ხალხის იდეა კარგია, ოლონდ თაქიანთ ბერიტორიაზე...

ოკუპირებული სამხრეთ ოსეთის ენ. პრეზიდენტი რუს ჟურნალისტებთან ჩრდილოეთ ოსეთთან გაერთიანებაზე საუბრობს. „სამხრეთ და ჩრდილოეთ ოსეთის გაერთიანების აუცილებლობა ეს ჩემი ინიციატივა არ არის, ეს ოსი ხალხის ეროვნული იდეაა, რომლისთვისაც თაობებმა სიცოცხლე შესწირეს. ამას ალტერნატივა არ აქვს, არ შეიძლება, ერთი ეთნოსი ერთმანეთის დამოუკიდებლად განვითარდეს, ეს მომავალში განსხვავებულ თვითიდენტიფიკაციას გამოიწვევს, იქნება ურთიერთდაპირისპირება, იმის მსგავსი, რაც დღეს რუსეთსა და უკრაინას შორის ხდება“, – განაცხადა ბიბილოვმა.

რომორც ამბობენ, პოლიტიკური ბრძოლის დროს ყველა ხერხი გამართლებულია, თუმცა, ქართულ წინასაარჩევნო კამპანიას თუ გადავხედავთ, ხელისუფლების მიერ მხარდაჭერილი კანდიდატისთვის ოპოზიციის მხრიდან განსაკუთრებული ტაქტიკის გამოგონება არც გამსდარა საჭირო. მარიხუანის თემამ, რომელიც ხელისუფლებამ რატომღაც მაინცდამაინც წინასაარჩევნოდ გამოიტანა განსახილველად, საკუთარი როლი უკვე შეასრულა. ხელისუფლების მხრიდან მხარდაჭერილი კანდიდატის მიერ კანდიდატის თემის ლობირებამ საზოგადოების დიდი ნაწილი და ეკლესია მის წინააღმდეგ აამხედრა. ამით ოპოზიციამ ისარგებლა და „ნაციონალური მოძრაობის“ საპრეზიდენტო კანდიდატმა გრიგოლ ვაშაძემ, რომელიც აქამდე მეტროსადგურებთან საკუთარი მხარდამჭერების სიებს აგროვებდა, ტაქტიკა შეცვალა და მარიხუანის მოყვანის მონაწილეებად სიის შეგროვებაზე გადაერთო.

რამდენად აისახება წინასაარჩევნო კამპანიის დროს დაშვებული შეცდომები არჩევნების შედეგებზე და შესაძლებელია თუ არა, ხელისუფლება არჩევნებისგან განზე გადაეს, ამ თემაზე ექსპერტი მახსოვრებდა.



წინებით ის მისაღები ყოფილიყო „ქართული ოცნებისთვის“, მაგრამ განცხადებები, რომლებიც მან გააკეთა, საკმაოდ მკვეთრ რეაქციას იწვევს საზოგადოებაში და ახლა უკვე „ქართული ოცნებისთვის“ არის პრობლემა, მაგრამ მაინც გაუწევს ლობირებას ზურაბიშვილს, რომელსაც ისედაც არ ჰქონდა დიდი რეიტინგი, რომ დამოუკიდებლად კენჭისყრის შემთხვევაში რაიმე შედეგისთვის. ახლა უკვე „ქართული ოცნების“ რესურსიც კი შეიძლება არ აღმოჩნდეს საკმარისი იმისათვის, რომ ზურაბიშვილი მეორე ტურში გავიდეს. თუ დაინახავს ხელისუფლება, რომ მეორე ტურში მისი გაყვანა რთულია ან შეუძლებელი, ურჩევნია, უარი თქვას მის მხარდაჭერაზე და არგუმენტად ზურაბიშვილის განცხადებები მოიყვანოს, ვიდრე ბოლომდე მიჰყვეს მას და ნააგოს არჩევნები. მოგახსენებთ, რატომაც დაუჭირა მხარი ხელისუფლებამ ზურაბიშვილს, მაგრამ სიტუაცია შეიცვალა და გართულდა და საკმაოდ მკვეთრია პროტესტი საზოგადოების ყველა ფენის მხრიდან, კანაფის თემიდან გამომდინარე. ამიტომ უმჯობესია, გადაწყვიტოს ხელისუფლებამ აგრძელებს ზურაბიშვილის მხარდაჭერას თუ გვერდზე გადასვას ზურაბიშვილს პირისპირ ტოვებს ამომრჩეველთა. თუ ხელისუფლება გვერდზე გადასვას და გაათავისუფლა საარჩევნო ველი, რომელ კანდიდატს რა შანსი უნდა ჰქონდეს და როგორ კონფიგურაციას ვიხილავთ?

– ვფიქრობ, ძირითადად ოთხ კანდიდატს შორის მიმდინარეობს ბრძოლა – ესენი არიან ვაშაძე, ბაქრაძე, ზურაბიშვილი და უსუფაშვილი. თუ ზურაბიშვილი, ანუ, „ქართული ოცნება“ გავა თამაშიდან, მაშინ უსუფაშვილის შანსები მკვეთრად გაიზრდება, რომ გავიდეს მეორე ტურში.

– უსუფაშვილს მხარს ძირითადად, ის ამომრჩეველი დაუჭერს, რომელიც თავის დროზე „ქართულ ოცნებას“ უჭერდა მხარს, მაგრამ იმედი გაუცრუვდა. იმ შემთხვევაში, თუ „ქართული ოცნება“ უარს იტყვის ზურაბიშვილის მხარდაჭერაზე, უსუფაშვილს ემატება „ქართული ოცნების“ ამომრჩეველიც, შესაბამისად, მეორე ტურში გასვლის შანსი უზრუნველდება. მეორე ტურში გასვლა კი, დიდი ალბათობით, მის გაპრეზიდენტებას ნიშნავს. მეორე ტურში გავა ბაქრაძე ან ვაშაძე. ჯერჯერობით ვაშაძეს უფრო მეტი შანსი აქვს, გამომდინარე იქიდან, რომ „ნაციონალურს“ საქართველოს მასშტაბით უფრო მეტი მხარდამჭერი ჰყავთ, ვიდრე „ევროპულ საქართველოს“, ჯერჯერობით ასეთი კონფიგურაცია იკვეთება. არავინ ველოდით, თუნდაც ორი სამი კვირის წინათ, რომ ზურაბიშვილის რეიტინგი და მისი პიარკამპანია ამ მართულეობით ნავიდოდა. ისეთი სიტუაცია იყო, თუ „ქართული ოცნება“ მხარს დაუჭერდა, მინიმუმ, მეორე ტურში გასვლა ჰქონდა გარანტირებული, მაგრამ ისეთი პიარი აწარმოა, რომ „ქართული ოცნების“ მხარდაჭერის შემთხვევაშიც კი გაუჭირდება მეორე ტურში გასვლა.

ლალა ზირაძეშვილი

ალეოჩინდება თუ არა საქმარისი რესურსი „ოცნებას“, რომ ზურაბიშვილი მეორე ტურში გავიდეს?

და არც შექმნილ სურათს აქვს ლოგიკური ახსნა, თანაც ოპოზიციის როლში „ნაციონალური მოძრაობაც“ აწყობთ...

– ასეთი რთული და ცოტა გაუგებარი თამაშები რატომ უნდა ითამაშოს, თუ ეს უნდაოდ ხელისუფლებას, საერთოდ არავის არ დაუჭერდა მხარს და თავისუფალ სივრცეში სალომე ზურაბიშვილი საერთოდ ვერ გავიდოდა მეორე ტურში.

– ამ ვითარებაში ხელისუფლებას ძალიან გაუჭირდება წამგებიანი პოზიციით გასვლა. თუ ზურაბიშვილი ხელი-სუფლების დახმარებით მეორე ტურში ვერ გავიდა, აქ უკვე პრობლემა უნდა იქნება თავად ხელისუფლებას, რადგან შეიქმნება შთაბეჭდილება, რომ მას ელექტორატი არა ჰყავს და მხარს აღარავინ უჭერს. საპარლამენტო არჩევნებამდე, მთელი ორი წელი სწორედ ეს თემა იქნება სალაპარაკო.

ასე რომ, „ქართულ ოცნებას“ დიდი არჩევანი არა აქვს. ერთადერთი გზა, რომ არ გადააწყვეს ზურაბიშვილის, ასე ვთქვათ, გაუაზრებელ პიარკამპანიას, არის ის, რომ უკან წაიღოს თავისი მხარდაჭერა – შეუძლია თქვას, რომ არ ეთანხმება დამოუკიდებელი კანდიდატის განცხადებებს.

სხვა მხრივ, მის მიერ მხარდაჭერილი კანდიდატის მეორე ტურში გაუსვლელი იქნება ხელისუფლებისთვის წამგებიანი არა მხოლოდ ამ არჩევნებზე, არამედ მომავალი საპარლამენტო არჩევნებისთვისაც. ხელისუფლებამ კარგად იცოდა სალომე ზურაბიშვილის

კონფორტაციული ხასიათის შესახებ და მაინც მასზე დადო ფსონი – ეს ყველაფერი თუ იმის დასამტკიცებლად სჭირდება, რომ სალომე ზურაბიშვილსაც კი გაიყვანს, თუ მოინდომა, ძნელი სათქმელია. საზოგადოებას უჭირს დაიჯეროს, რომ ყველაფერი ასე მარტივად და უკვე შეთქმულების თეორიები ვითარდება. რაში აწყობს ხელისუფლებას ზურაბიშვილი?

– არსებობს არგუმენტები და მოსაზრებები, თუ რატომ დაუჭირა მხარი ხელისუფლებამ ზურაბიშვილს და არა ვინმე სხვას. შესაძლებელია ამის არგუმენტირება – მოიძებნა გარეშე პირი, რომელიც არც ერთი დაჯგუფების გაგვლენის ქვეშ არ იმყოფება და „ოცნებაში“ არსებული არც ერთი გუნდის ლობირებას არ დაიწყებს პრეზიდენტობის დროს.


– გარდა ამისა, სალომე ზურაბიშვილი არ წარმოადგენს ხიფათს პრეზიდენტობის შემთხვევაში. შესაძლოა, არ იყოს პროგნოზირებადი მისი განცხადებები, რაც ნაკლებად აღელვებს ხელისუფლებას, მაგრამ მთავარი, რაც არ უნდა ხელისუფლებას ის არის, რომ არ დაიკავოს პრეზიდენტის საგარეო პიროვნებაში, რომელიც შემდგომ საპარლამენტო არჩევნებისათვის ორგანიზაციულ პრობლემებს შეუქმნის, ანუ პრეზიდენტის საგარეო არ გამოიყენებს იმისათვის, რომ დააგროვოს პოლიტიკური კაპიტალი და იბრძოლოს შემდგომ საპარლამენტო არჩევნებისთვის. 2020 წელს ზურაბიშვილს ამის რესურსი არ გააჩნია. შესაძლოა, ამ ფაქტორის გათვალის-

აზერბაიჯანული გამოცემის, «HOBOE BPENYA»-ს მიერ გამოქვეყნებული სტატია ეხება აზერბაიჯანისა და სააბრთველოს ურთიერთობაში არსებულ ამტუალურ პრობლემას – ორი მხარე სახელმწიფოს ტერიტორიის გაყოფას სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაცია-დემარკაციის საკითხს.

საინფორმაციო-შემცენებითი პორტალი NSP.GE გთავაზობთ სტატიის ქართულენოვან ვერსიას:

როგორც ცნობილია, აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ხალაფ ხალაფოვმა ჯერ კიდევ 2018 წლის დასაწყისში განაცხადა, რომ აზერბაიჯან-საქართველოს საზღვრო კომისიებისა და ექსპერტთა ჯგუფების მორიგი შეხვედრა პირველ კვარტალში გაიმართებოდა. რა მდგომარეობაა დღეს ორი მეზობელი

აზერბაიჯანული პრესა: დავით გარეჯი და პრისიგადი-საქართველოსა და აზერბაიჯანის ურთიერთობის აქტუალური პრობლემა



ქვეყნის საზღვრების დადგენის საკითხთან დაკავშირებით? საქართველოსა და აზერბაიჯანს ერთმანეთთან 400 კილომეტრზე მეტი (446 კმ. – თბილისის მონაცემებით, 480 კმ. – ბაქოს მონაცემებით) სიგრძის მქონე სახელმწიფო საზღვარი აქვთ. დღეისათვის შეუთანხმებელი რჩება 180 კილომეტრი.

სახელმწიფო საზღვრების დელიმიტაცია-დემარკაციის პროცესი 1996 წელს დაიწყო, როცა ამ მიზნით ორმხრივი აზერბაიჯანულ-ქართული მთავრობათაშორისო კომისია შეიქმნა. ამჟამად დელიმიტირე-

ბულ-დემარკირებულია საერთო საზღვრის 66%. კომისიის მუშაობის დროს, დაწყებული 2007 წლიდან, რამდენიმე გადაულახავი დაბრკოლება გაჩნდა, მათ შორის დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსთან დაკავშირებით, რომელიც თბილისიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით, 60 კილომეტრში მდებარეობს. აზერბაიჯანი თვლის, რომ მონასტერი ალბანური კულტურის ძეგლია და მას „კეშიშჩი-დალს“ უწოდებს. 2012 წლის 6 მაისს აზერბაიჯანელმა მესაზღვრეებმა დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის ნაწილი დაიკავეს, რომელიც, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადებით, სადავო ტერიტორია არ იყო და ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში აზერბაიჯანის სსრ-ის შემადგენლობაში შედიოდა.

იხ. 12 გვ.

მსოფლმე საქართველოს პოლიტიკას აქვს ექსკლუზიური უფლება, ილაპარაკოს სიცრუე და ამტიკიცოს ის, რაც კარგა ხანია, დაამტკიცეს ანგარიშგასანეგმა საერთაშორისო ორგანიზაციებმა — ევროკავშირმა, ევროსაბჭომ, გაერომ, სხვებმა. საკითხი 2008 წლის ომს ეხება, უფრო ზუსტად — თუ ვინ დაიწყო ომი, ვინ არის აგრესორი.

საქმეში ღრმად ჩახედულ საერთაშორისო ექსპერტთა მიხედვით, ომი იმჟამინდელმა პრეზიდენტმა სააკაშვილმა დაიწყო, რასაც მოჰყვა მძიმე მარცხი და საქართველოს ტერიტორიების დაკარგვა.

არაერთხელ მითქვამს (სატელევიზიო ეთერში) ბექდვით მედიაში, რით იყო გამოწვეული ესოდენ გაუთვლელი აგრესიული ნაბიჯი, ამდენად მასზე არ გავამახვილებ ყურადღებას. ომის დაწყების თემა და მას შემდეგ განვითარებული მოვლენები საქირობდა საქართველოს ხელი-სუფალთა მხრიდან საფუძვლიან შესწავლას და შესაბამისი დასკვნების გამოტანას, სადაც გამოირიცხებოდა ნებისმიერი მავანის მოსაზრების მოსახლეობისთვის თავს მოხვევა. არის თუ არა საკითხი სერიოზული განსჯის საგანი?

უდავოდ არის, მაგრამ ხალხის სურვილი ხელისუფლების გარეშე ვერაფერს გახდებდა. ამ უკანასკნელს კი ისე ეშინოა ოპოზიციის (ომის გამწალებელი „ნაცების“), რომ მზადაა ომის დაწყება საკუთარ თავსაც დააბრალოს.

ამგვარად გაჩნდა ომის დაწყების ორი ვერსია, ანუ გამოიკვეთა ორი აგრესორი, რაც უდავოდ დიდი კურიოზია. მსოფლიო ისტორიას არ ახსოვს ისეთი „მიგნება“, ქართველებმა რომ მოვახერხებთ — ერთი ომის ორი აგრესორი. თუმცა, რაც დრო გადის, სულ უფრო მტკიცედ იკიდებს ფეხს ქართული ვერსია — რუსეთი აგრესორია — მან დაიწყო ომი.

„ომის გამწალებელი“ და „აგრესორი“ რუსეთი კანტიკუნტად პასუხობს ქართულ ვერსიას — ალბათ იმის იმედით, რომ საერთაშორისო საგამოძიებო კომისიის (ტალიავინის ხელმძღვანელობით) დასკვნას ვერვინ შეცვლის. დოკუმენტი სერიოზულია და გაზიარებული ევროატლანტიკური პოლიტიკური სივრცის მიერ. და არა მარტო მისი, არამედ სააკაშვილის ხელისუფლების მიერაც.

2008 წელს სააკაშვილის ხელისუფლება დაეთანხმა და ხელი მოაწერა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 1633-ე რეზოლუციას, რომლის მე-5 პუნქტში ნათქვამია:

„2008 წლის 7 აგვისტოს საქართველოს სამხედრო ძალების მიერ ცხინვალის დამოუკიდებელი სახელმწიფოს დაპყრობის მიზნით, კერძოდ ლია და რაქოვას მხარეში მოქმედების საფუძველზე გადავიდა. მძიმე არტილერიისა და კასეტური ბომბების გამოყენება, რამაც სერიოზული საფრთხე შეუქმნა სამოქალაქო მოსახლეობას, წარმოადგენდა სამხედრო ძალის არაპროპორციულ გამოყენებას საქართველოს მხრიდან, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ხდებოდა მისი ტერიტორიის ფარგლებში. ეს იყო საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლისა და საქართველოს მიერ აღებული ვალდებულებების დარღვევა, კონფლიქტები გადაწყვიტოს მშვიდობიანი საშუალებებით.“

ამ დასკვნის შემდეგ შეიძლება ვინმე „გულადი“ არსებობდეს ქართულ პოლიტიკაში, რომელიც ურცხვად უარყოფს აღნიშნულს და აგრესორად რუსეთს დაადებდეს ხელს?!

სამწუხაროდ, ასეთები მრავლად არიან! მათი რაოდენობა არათუ იკლებს, არამედ იმატებს — ცრუ პროპაგანდის შედეგად. არ მოიძებნება არც ერთი ტელეკომპანია ან ბექდვითი მედია, რომელიც იტყვის სიმართლეს. ყველა დაბეჯითებით იმეორებს ტყუილს — ომი რუსეთმა დაიწყო. ის არის აგრესორი. ვინმემ გახედოს და თქვას სანაღმდეგო, ანუ სიმართლე — როგორ ჯოჯოხეთში გაატარებენ მას „პატრიოტი“ ექსპერტები, პოლიტიკოსები, ჟურნალისტები?!

ერთმა ყმანცილმა მითხრა — ეს რომ ასე იყოს (ომი საქართველომ დაიწყო), ჩვენ მაინც არ უნდა ვთქვათ, ვინაიდან ქვეყნის ღალატია. ვითომ სჯობს სიმართლეს სიცრუეში ცხოვრება? თანაც ისეთი, სახელმწიფო საზღვრის გადაღმა რომ ხელში შემოგადებდა?!

ბოლო ათწლიანმა პროპაგანდამ დიდი გავლენა იქონია მოსახლეობაზე და ლამის დაარწმუნა ის, რომ აგრესორი რუსეთია. განსაკუთრებული ზეგავლენა მოხდა იმ თაობაზე, ვინც 2008 წელს 8-10 წლის იყო, მათ ვერაფრით შეაგნებინებთ, რომ დამნაშავე მისივე წინაპარია.

მითქვამს და გავიმეორებ — ომი არა მარტო სააკაშვილმა და მის ირგვლივ შეკრებილმა უფიცმა „ნაცებმა“ დაიწყო, არამედ ზოგმა ჩვენგანმა — სააკაშვილის მხარეში დგომით, პარლამენტის შენობის წინ აღმართულ სცენაზე მხარდაჭერით, ცეკვა-თამაშით, ბალტისპარა ქვეყნების მსგავსად — თბილისის ქუჩებსა და საქართველოს გზებზე ცოცხალი ჯაჭვის გაბმით. მაშინ ერთი წამითაც არავინ დაფიქრებულა, რომ ამ აქციით ხელს აფარებდა აგრესორი სააკაშვილს და „ნაციონალებს“, ნაცვლად გასამართლებისა და ციხეში გაშვებისა.

მართალია, სააკაშვილმა ომიც წააგო და ტერიტორიებიც დაკარგა, მაგრამ ჩვენი დახმარებით თავიც გადაირჩინა და „გმირიც“ გახდა. ხალხის მხარდაჭერამ სააკაშვილს გაუიოლა საპრეზიდენტო ვადის ამონურვამდე ქვეყნის სათავეში ყოფნა და ისეთი დანაშაულებები ჩადენა, რაც მიუღებელია ევროპისკენ მავალი ქვეყნისთვის.

საკაშვილის 2008 წლის ანტისახელმწიფოებრივი ნაღვაწი შესაბამისად შეაფასა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებულმა „ქართულმა ოცნებამ“ და პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა. მისი ნათქვამი იყო მკაფიო და ლაკონური, ხოლო შინაარსი ასეთი — **ომი სააკაშვილმა დაიწყო.**

ამ აღიარებამ სიგიჟედ მიიყვანა ოპოზიციაში გადასული „ნაცები“ და მისი ლიდერი. მოხდა ის, რაც არ უნდა მომხდარიყო. ივანიშვილმა შეარბილა თავისივე განცხადება და ის რუსულ პროვოკაციაზე საქართველოს ხელისუფლების წამოგებად შეცვალა.

„პროვოკაციაზე წამოგება“, „ომში ჩათრევა“ და სხვა — ვითომ თავის გამამართლებელი სიტყვები, ჩვენი თანამგზავრი გახდა. ერთ-ერთი პოლიტიკოსი, რომელიც პირდაპირ ხელს ადებდა



თავს, ქულის ტარების ბარდა, სხვა დანიშნულებას აქვს - ტვინის განძრევა რომ ჰქვია!

საკაშვილს ომის დაწყებასა და აგრესიაში — ქალბატონი ზურაბიშვილი იყო. მისი პირდაპირობა ეკალივით გულზე ესობოდა „ნაციონალებს“, მაგრამ ზღვა ანტირუსულ პროპაგანდაში ზურაბიშვილის მართალი ხმა ვის რას დააკლებდა?!

„ნაციონალებს“ არც პარლამენტარ ზურაბიშვილის ნათქვამი ანუხებდა, მაგრამ პრეზიდენტობის კანდიდატის ზურაბიშვილის ნათქვამი სხვა, ვინაიდან „ოცნების“ მიერ მხარდაჭერილი კანდიდატი ოქტომბრის ბოლოს პრეზიდენტი გახდება, მანამდე კი საპრეზიდენტო მართონია გასაველი და ისე, როგორც დანარჩენი საპრეზიდენტო კანდიდატები, ზურაბიშვილიც გადის კრიტიკის ქარცეცხლში.

კრიტიკის თემა ისევ 2008 წლის ომის დაწყებაა, ანუ ის, რომ **ომი სააკაშვილმა დაიწყო**. არ დარჩა არც ერთი პარტია, პოლიტიკოსი, პოლიტოლოგი, ჟურნალისტი, რომელსაც არ გაეკრიტიკებინოს ზურაბიშვილი „სიცრუისთვის“ — ღალატია ზურაბიშვილის მხრიდან გაჟღერებული განცხადება, ერთხმად გაჰყვირიან ისინი.

ზურაბიშვილმა დასაწყისში გაუძლო შემოტევას, მაგრამ ნელ-ნელა დაიწყო თავისივე ნათქვამის შერბილება, ისე, როგორც ივანიშვილმა. ბოლოს, არც აცია და არც აცხელა — ჯიქურ მიეჭრა აგრესორს, ოკუპანტს, ომის „გამწალებელ“ რუსეთს.

„მე, როდესაც ვამბობ, რომ საქართველოს ხელისუფლება წამოეგო რუსეთის პროვოკაციას, არ ვამბობ, რომ საქართველო არის დამნაშავე; არ ვამბობ, რომ საქართველომ დაიწყო ომი; არ ვამბობ, რომ რუსეთი არ არის აგრესორი და ოკუპანტი“.

მან სააკაშვილიც ასხენა როგორც დამნაშავე, სხვა „ნაცებიც“, მათ შორის პრეზიდენტობის კანდიდატი ვაშაძეც, მაგრამ რუსეთი ისეთ ფერებში დახატა, როგორც „ნაცები“ ხატავდნ და სხვა ე.წ. პოლიტიკოს-პოლიტოლოგები, ჟურნალისტები. ზურაბიშვილმა რატომღაც ისტორიაც გაიხსენა და თქვა, რომ რუსეთი საქართველოს ბოლო 100 წლის განმავლობაში ებრძვისო!

ზურაბიშვილი საქართველოდან გაქცეული მენშევიკური მთავრობის პირმშოა და სულაც არ არის გასაკვირი მისი ნეგატიური დამოკიდებულება კომუნისტების მიმართ. აქ ძნელია ობიექტურობის დაცვა, მაგრამ ქვეყნის მართვა არის ერთი — რომ არა რუსეთი, საქართველო ვეღარ გაუძლებდა მუსლიმურ შემოტევებს სამხრეთიდან, ჩრდილო კავკასიიდან, სამხრეთ-დასავლეთიდან, ...

რომ არა საბჭოთა 70-წლიანი მმართველობა, საქართველოს მოსახლეობა ხუთნახევარი მილიონი ვერ გახდებოდა; ვერც საყოველთაო განათლებას მოაბამდა თავს; ვერც სოფლის მეურნეობას, მრეწველობას, ხელოვნებას, მეცნიერებას ააღორძინებდა. რომელი ერთი ჩამოვთვალო.

პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანმა ნაცვლიშვილმა გააკრიტიკა რა ზურაბიშვილი, მენტორული ტონით ბრძანა — რუსეთი არის აგრესორი და ომი მან დაიწყო. თან ისიც დაუმატა, რომ ამის თქმა ყველასთვის საავალდებულოა საერთაშორისო არენაზე რუსეთისთვის დისკომფორტის შესაქმნელად.

რა გამოდის? — ნაცვლად იმისა, რომ ხელისუფლება რუსეთთან ნორმალური ურთიერთობების ჩამოყალიბებისთვის იღვწოდეს, უფრო მეტი კონფორმაციისკენ მიდის და ეს მაშინ, როდესაც რუსეთში მცხოვრები მილიონამდე საქართველოს მოქალაქის ფულადი გაზინილი არჩენს საქართველოს და რამდენჯერმე აღემატება სხვა ქვეყნებში მცხოვრები ქართველების გზავნილებს.

რუსეთის ბაზარზე შეტანილი ქართული ღვინო — 33 მილიონი ბოთლი, დიდად აღემატება სხვა ქვეყნებში შეტანილ ერთად აღებულს; ისე როგორც რუსი ტურისტების რაოდენობა სხვა ქვეყნების ტურისტების რაოდენობას. აღარაფერს ვამბობ ენერგეტიკაში მომუშავე რუსულ ბიზნესზე და სხვა.

თუ არ გვინდა რუსეთი, არც ის უნდა გვინდოდეს, რაც იქიდან მოდის!

ახლა კი შორეული ისტორიის შესახებ. პროფესორი ნოდარ ლომოური (საქართველოს ისტორია) წერს: „შაჰ-აბას პირველის შემოსვლა კახეთში 100 000-ის განწყევლით და 200 000 ქართველის სპარსეთში გადასახლებით დასრულდა. რუსეთთან შეერთების ჟამს ქართლის მოსახლეობა 60 000-ს არ აღემატებოდა. აქედან, 100 წლის შემდეგ — საქართველოს მოსახლეობამ 1.5 მილიონს მიაღწია, ხოლო საბჭოთა კავშირის 70 წლის განმავლობაში — 5 მილიონს“.

გამსახურდიას მმართველობიდან დაწყებული, გამუდმებით გავიძახით — ნებაყოფლობით კი არა, ძალით შევიდა საქართველო რუსეთის შემადგენლობაში და წამითაც არ ვფიქრობთ — როგორი იყო მაშინდელი საქართველო!

1490 წელს დარბაზმა დააფიქსირა საქართველოს სამსამეფოდ დაყოფა: ქართლად, კახეთად, იმერეთად და სამცხეს სათავადოდ. მოგვიანებით იმერეთს გამოეყვნენ სამეგრელო და გურია.

1783 წელს გეორგიევსკის ტრაქტატი დაიდო რუსეთსა და ქართლ-კახეთს შორის. ქართლში სამეფო ტახტზე პრეტენზიას ბევრი აცხადებდა, მაგრამ იმპერატორმა პავლე I-მა აღასრულა მომავლადი გეორგი XII-ის სურვილი და 1800 წლის 22 დეკემბრის მანიფესტით ქართლ-კახეთი რუსეთს მიუერთა. 1810 წელს რუსეთის შემადგენლობაში შევიდა იმერეთიც.

აღნიშნული ტერიტორიების და მოსახლეობის დაცვის მიზნით რუსეთის ჯარს არაერთი ბრძოლის გადატანა მოუხდა ჩრდილო კავკასიის ტომების მუდმივი შემოსევების და მასთან ერთად თურქული აგრესიის წინააღმდეგ, რის შედეგადაც ხელიდან გამოსტაცა გურია (1828 წ.), აჭარა, სვანეთი (1854 წ.), სამეგრელო (1857 წ.), აფხაზეთი (1864 წ.). ასე შექმნა რუსეთმა თავისი ქართული გუბერნია.

სწორედ გაიგონებთ „პროგრესული“ ექსპერტების მხრიდან, რომ საქართველოს გუბერნია რუსეთმა თავისთვის გაიკეთაო. კეთილი, მაგრამ საბოლოოდ ვინ გადარჩა და ტერიტორიებიც, მინიმუმ 70 ათასი კვადრატული კილომეტრი ვის დარჩა?!

1805 წლის 28 ივლისს რუსეთმა გაანადგურა თბილისისკენ მომავალი აბას-მირზას 40000-იანი არმია, გაათავისუფლა საქართველოს ტერიტორია მუსულმანი დამპყრობლებისგან.

რუსეთს მიერთებულმა საქართველომ თავი დააღწია მეფეთა სიკვდილით დასჯას; მათი დების სპარსულ პარამუნებში გამწვანება; ძმების ევენუხობას და განდგენ რუსეთის იმპერიაში ქართველი სწავლულები, სამხედროები, გენერლები — მარტო ბაგრატიონი და 1812 წლის მსოფლიო ომის მონაწილე ქართველი გმირები რად ღირს. დიდმა ილიამ და სხვა სამოციანელებმაც სწავლა-განათლება სანკტ-პეტერბურგში მიიღეს.

რაც შეეხება 1918-21 წლების ისტორიას — მენშევიკური ხელისუფლების უნიათო მმართველობას, ისტორიაში ღრმად ჩახედულმა კარგად იცის, რომ მთავრობამ თავი ვერაფერს მოაბა, საქართველოს ეკლესიებში არსებულ სიმდიდრეს დაეუფლა და საფრანგეთში გადაიხვეწა.

განძის ეკლესიებიდან გამოტანასთან დაკავშირებით ნოე ჟორდანიასა და კათალიკოს-პატრიარქს შორის ლამის ხელჩართული ჩხუბი და ლანძღვა-გინება გაიმართა, მაგრამ იძალა ხელისუფლებამ. საფრანგეთში ჩატანილი განძის ტომრები მარსელის ბანკში განთავსდა, საიდანაც გაქცეული ხელისუფლების წარმომადგენლები დროდარო, თავის საჩივნად ყიდდნენ ერის სიმდიდრეს. მარსელში განძის შენახვის ვადის ამიონურვის შემდეგ ის პარიზში გადაიტანეს. საფრანგეთის ხელისუფლების მიერ საბჭოთა კავშირის ცნობასთან ერთად საფრანგეთმა შეწყვიტა მენშევიკურ ხელისუფლებასთან კონტაქტები. განძი საფრანგეთის ფინანსთა სამინისტროს ბალანსზე აიყვანეს!

არც ე.თაყაიშვილს და არც ვინმე სხვას განძთან მისვლა აღარ შეეძლო. და რომ არა სტალინის პირადი დაინტერესება და განუსაზღვრელი ავტორიტეტი, განძი საქართველოს არც გადმოეცემა.

პრეზიდენტ დე გოლთან მოლაპარაკების დროს სტალინმა მას „მეგობრულად“ სთხოვა განძის დაბრუნება. დე გოლი დაჰპირდა, თუმცა დანაპირები დიდის გაჭირვებით შეასრულა, ფინანსთა მინისტრის წინააღმდეგობის გამო. განძის ჩამოსატანად პარიზს გაემგზავრა პროფესორი შალვა ამირანაშვილი, შემდგომში ხელოვნების მუზეუმის დირექტორი, სხვები. მათვე ჩამოიყვანეს ექვთიმე თაყაიშვილი და ჩამოიტანეს თითქოს განახევრებული განძი.

ეს ისტორია ბევრმა არ იცის და რომც გაიგოს — არ დაიჯერებს იმიტომ, რომ სალომესი არ იყოს — რუსეთი 100 წელია, გვერძების და გვეომება!

დავუბრუნდეთ მთავარ თემას, ანუ საპარლამენტო მდივნის ნაცვლიშვილის „კატეგორიულ“ მოთხოვნას: **ყველამ უნდა ვთქვათ, რომ რუსეთი აგრესორია.**

კი ბატონო, ვთქვათ, მაგრამ ამით ხომ იმ ევროპულ სტრუქტურებს ვწინააღმდეგებით, რომლებზეც მზე და მთვარე ამოგვდის? გარდა ამისა, „აგრესორი“ რუსეთთან როგორ ვაპირებთ მოლაპარაკებას ტერიტორიული მთლიანობის აღდგენასთან დაკავშირებით? იქნებ, საერთოდ არ ვაპირებთ ამ თემაზე რუსეთთან ლაპარაკს?

მართლაცდა, რა გეშველება, უბედურო საქართველოვ?

თავს, ქუდის ტარების გარდა, სხვა ფუნქცია აქვს — ტვინის განძრევა რომ ჰქვია!

კამლატ ჭიკაბავილი, პოლიტოლოგი.



აქვე კვლავ მისი მოღვაწეობის ადრინდელ პერიოდს უნდა მივუბრუნდეთ. მაღალი პროფესიონალი-პრაქტიკოსი მუდამ სიახლის ძებნაში იყო. მისი ყოველი სამუშაო დღე მიმართული იყო იმ ჯანსაღი და ნოვატორული იდეების რეალური ხორცშესხმისკენ, რომელიც მნიშვნელოვან სიკეთეს და წარმატებას მოუტანდა კლინიკას და მის კოლექტივს. მან შემოიკრიბა საქმის ერთგულებით გამორჩეული ახალგაზრდების ჯგუფი. ყოველთვის დიდ ყურადღებას უთმობდა ახალგაზრდა სპეციალისტების თვისობრივ შერჩევას, მათ პროფესიულ აღზრდას. საკმარისია აღინიშნოს ქვეყნისთვის უპრეცედენტო შემთხვევა, როდესაც ბატონი ნაპოს თაოსნობითა და უშუალო ხელშეწყობით ქ. მოსკოვში სსენებულ ნ. ბურდენკოს სახელობის ნეიროქირურგიულ ინსტიტუტში კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით მიემგზავრება, ერთი წლით, არა ერთი ან ორი, არამედ ერთდროულად თანამშრომელთა ოც-კაციანი ჯგუფი, მათ შორის ხუთი ექიმი ორი წლით – კლინიკურ ორდინატურაში. ქვეყნის ისტორიაში ეს უპრეცედენტო შემთხვევა იყო. სხვა მაგალითი, როდესაც ხელმძღვანელი, უანგაროდ, ასე მასშტაბურად ზრუნავდეს თანამშრომლებზე, არ მოიძებნება. ის ახერხებს ამას!

ამავე დროს ბატონი ნაპო იყო ძალიან მომთხოვნი, მაგრამ კეთილი, გულისხმიერი და განხილვისმოყვარე. ტყუილუბრალოდ შენიშვნას არავის მისცემდა, მაგრამ დაშვებულ შეცდომაზე პასუხს მოსთხოვდა; თანამშრომლებთან იყო მკაცრი, მათგან ითხოვდა მაქსიმალურ მოზილიზებას და ავადმყოფების მიმართ მაქსიმალურ ყურადღებას. გულგრილობასა და უპასუხისმგებლობას არავის პატიობდა. იყო არა ერთი შემთხვევა, როდესაც მას თანამშრომელისთვის, მათ შორის ექიმებისთვისაც, გაუხდია თეთრი ხალათი და სახლში გაუშვია, მაგრამ ეს იმდენად ობიექტურად და კორექტულად ხდებოდა, რომ მითქმა-მოთქმა და გაუგებრობა არასდროს მომხდარა. როგორც მისი ყოფილი შეგირდი, ამჟამად ცნობილი ნეიროქირურგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, უკრაინის ა. რომოდანოვის სახელობის ნეიროქირურგიული ინსტიტუტის ნეიროტრავმის დეპარტამენტის უფროსი, პროფ. ნიკო ქაჯაია აღნიშნავს ბატონი ნაპოს იუბილესთან დაკავშირებით გამოგზავნილ წერილში: „ყველას აოცებდა მისი დაუოკებელი, თითქმის უშრეტი ენერგია და მგზნებარება, მისი მიდგომები პაციენტების გამოკვლევის საქმეში, მისი უნიკალური კლინიკური დასკვნები, ოპერაციული ჩარევის ტექნიკა, რომლებსაც ვითვისებდით მისი მოწაფეები. იგი იყო ჩვენი ზრდისა და განვითარების უშრეტი წყარო“. ნიკო ქაჯაია აღნიშნავს ასევე, რომ „ბატონი ნაპოს ცხოვრება და მოღვაწეობა იდეების კრებულება და შეუდარებელი ფოლიანტია“. ასევე მისი მოწაფე პროფ. პანაიოტისი სტილიდისი საბერძნეთიდან, სალონიკიდან, სადაც ნეიროქირურგიულ დეპარტამენტს ხელმძღვანელობს, წერს: „ბატონი ნაპო გვახსენებდა არა მარტო ნეიროქირურგიას, არამედ როგორ უნდა დავმდგარიყავით ნამდვილი ადამიანი“. ასე აფასებენ მას მისი კოლეგები და მოწაფეები. იგი ცდილობდა, შეძენილი ცოდნა და გამოცდილება გაეზიარებინა ყველასთვის. მას მიაჩნდა, რომ კარგი მასწავლებელი ის არის, ვინც შეგირდებს თავის შეცდომას

გაბრაძევა. დასაწყისი №188

არ დაუმალავს და სწორი გადაწყვეტილებების მიღების ხერხებსა და მეთოდებს ასწავლის. ასეთი იყო მისი, როგორც პროფესიონალისა და ხელმძღვანელის მრწამსი და საქმისადმი მიდგომა. მან იცის, რა არის გაჭირვება და ნამდვილი ტკივილი, ბევრისგან განსხვავებით, მას არ ელიმება იქ, სადაც ტირიან და სევდას მოუცავს ყველაფერი. ის მწარედ განიცდის აფხაზეთიდან დევნილი და ოკუპირებულ ტერიტორიებში ჩარჩენილი მოსახლეობის უმძიმეს ხვედრს. ისე, როგორც ნამდვილ პატრიოტს და ერისკაცს სეპერის. მისი ინიციატივითა და მზრუნველობით აღდგენილ იქნა მშობლიური სოფლის – ოტობაიას სასოფლო-საეკიმო ამბულატორია. აღიჭურვა იგი საოფისე ავეჯით, ხელსაწყოებით და დანადგარებით, სამედიცინო დახმარების მანქანითა და სპეციალური სამედიცინო პროგრამით, რის შედეგადაც


ბოდნენ, ეს ნათლად გამოჩნდა 1989 წლის 9 აპრილს მომხდარი ტრაგედიის დღეებში, როდესაც რესპუბლიკური საავადმყოფოს მთავარმა ექიმმა არსენ თარბამ ეროვნული გლოვის დღეებში ავტონომიური რესპუბლიკის დროშა არ ჩამოეშვა. ეს შემთხვევა იმიტომაცაა საგულისხმო, რომ ბატონმა ნაპომ, ჯერ კიდევ არადეპუტატმა, დაანახა ყველას, მათ შორის პოლიტიკოსებსაც, თუ რა მნიშვნელობა ენიჭება ექსტრემალურ სიტუაციებში გონიერებას და წინდახედულ ქმედებას.

ბატონი თარბას საქციელმა დიდი აყალმაყალი და შესლა-შემოსვლა გამოიწვია, რამაც უკიდურესად დაძაბა ისედაც გართულებული ქართულ-აფხაზური ურთიერთობა. დაიმუშტა ირგვლივ ყველაფერი, ჰაერში დენთის სუნი ტრიალებდა, საკმარისი იყო პატარა ნაპერწკალი, რომ ხანძარი დანთებულყო. ასეთ დროს

და დანყებულყო. ყოველივე ეს წინ უძღვოდა სოხუმის უნივერსიტეტის გაყოფის შედეგად 1989 წლის ივლისის სისხლიან დღეებს, რაც აფხაზეთის ქართველი საზოგადოების აგრესიული ნაწილის (ზურაბ პაპასკირის, შალვა წულეისკირის, ჯუმბერ ხუბუტიას, მურმან ბერიას, სოსო ადამიას, ალექსანდრე მიქაძის და ბევრ სხვათა) წინდახედვით საქმიანობის შედეგი იყო. მათ არ გაითვალისწინეს სამედიცინო საზოგადოების პრობლემისადმი წინდახედული, გონივრული მიდგომები და მიღებული პოზიტიური შედეგები. ისინი ხეების იქით ტყეს ვერ ამჩნევდნენ და ეს ყველაფერი ქართველ-აფხაზთა პირველი შეიარაღებული დაპირისპირებით და სისხლის ღვრით დამთავრდა. ამაში დიდი წილი მიუძღვის სწორედ პატივცემულ თემურ მჟავიას, როგორც „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოს“

საღსი სულ სხვა პზრისა: საღსმა ისის სიმაართლა!

ანუ კიდე პრთხალ იაზა, თუ პინ რა იღვანა და პის რა ბრალი მიუქღვის აფხაზეთის ბრახედიანი!



დღე-ღამის რეჟიმში იღებს სამედიცინო დახმარებას ოტობაიასა და ნ-6 მიმდებარე სოფლის მოსახლეობა. მოგვიანებით მისი ძალისხმევითა და ქვეყნის ფედერალური სათანადო სამინისტროების მხარდაჭერით, ევროკომისიის გეგმით კონფლიქტის ზონაში – ქ. გალში უნდა გაშენებულიყო მრავალპროფილიანი სამედიცინო ცენტრი და აღდგენილიყო გალის რაიონის დაბალი ზონის – ზღვისპირა და ენგურს განაპირა სოფლების სკოლები თავიანთი ინფრასტრუქტურით და სხვა, მაგრამ 2008 წლის მოვლენებმა ჩაშალეს მისი გეგმა. ეს, რაც შეეხება მის პროფესიულ საქმიანობას, მას, როგორც ნეიროქირურგს და ჯანდაცვის სისტემის უბაღლო ორგანიზატორს.

რაც შეეხება ბატონი ნაპოს საზოგადოებრივ მოღვაწეობას. ეს იმდენად დიდი და მრავალფეროვანია, რომ ყველას ვერც გავსწავდებით. არც ამ წერილის ფორმატი იძლევა ამის საშუალებას. ბატონმა ნაპომ ბევრჯერ იხსნა აფხაზეთი ომისაგან. ბევრჯერ გამოიწვია აფხაზურ მხარესთან ერთად ომის თავიდან აცილებისა და ომიდან ღირსეულად გამოსვლის, დევნილი მოსახლეობის თავიანთ საცხოვრებელ ადგილებში უსაფრთხოდ დაბრუნების გზები, მაგრამ უწინარმა ხელეგმა ქარს გააყოლეს ყველა მისი ასეთი მცდელობა. აქ ჩვენ ყველას ვერ ჩამოვთვლით, მაგრამ არ შევიძლია, გვერდი ავუაროთ იმ ფაქტებს და მოვლენებს, რომლებიც ხდებოდნენ ჩვენს თვალწინ და ვიყავით მისი მოწაფეები. სწორედ მაშინ გამოვლინდა ბატონი ნაპოს შეუდარებელი უნარი კონსენსუსის მიგნების ხელოვნებაში. მას რომ ენდო-

გამოჩნდა ბატონი ნაპოს გონიერება და შექმნილი ვითარებიდან მშვიდობიანი გზით გამოსვლის დიდი უნარი. სწორედ, ასეთ ვითარებაში სოხუმის (და არა მარტო სოხუმის!) სამედიცინო საზოგადოება გაერთიანდა ნეიროქირურგიული ცენტრის, მისი ხელმძღვანელის გარშემო, რომელსაც, ჩვენივე თხოვნით, სათავეში ჩაუდგა ბატონი ნაპო. სამედიცინო საზოგადოების ქართული ნაწილი მოითხოვდა არსენ თარბას გადაყენებას და დასჯას, რაც ადვილი საქმე არ იყო. არამარტო იმიტომ, რომ მას გვერდით ედგა ეროვნული ნიშნით გაერთიანებული სამედიცინო საზოგადოების აფხაზური ნაწილი, არამედ სხვა უფრო მნიშვნელოვან მიზეზთა გამო. საქმე ის გასლდა, რომ ბატონი არსენი ცნობილი იყო როგორც აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ენ. იატაკქვეშა ბიუროს, იმ უხილავი დაჯგუფების ერთ-ერთი წამყვანი წევრი და ლიდერი, რომელიც სეპარატიზმის, ანტიქართული იდეოლოგიის ბუდე და შეუვალი ციტადელი გასლდათ. ამავე დროს იგი მეორე მსოფლიო ომში, მკირე მინის“ ბრძოლებისთვის დაჯილდოებული იყო სახლთა მეგობრობის ორდენით და საკავშირო მთავრობისაგან საჩუქრად მიღებული ჰქონდა ავტომანქანა „ვოლგა“. ასე რომ არსენ თარბასთვის ხელის ხლება ადვილი საქმე არ იყო! მისი როგორც სამედიცინო დანესებულების ხელმძღვანელის საქმიანობას თავის დროზე ჟურნალ „კროკოდელმა“ მიაქცია ყურადღება, მაგრამ ამოოდ! ვერც აფხაზეთის მთავრობამ შეძლო მისი დამსახურულ პენსიაზე გავება. როგორც კი დააპირებდნენ, გუდაუთიდან ჩამოდიოდნენ „უსუცესთა საბჭოს“ წევრები და ეუბნებოდნენ მათ: „He трогайте Тарбу!“ და გადიოდნენ ისე, რომ არც აინტერესებდათ საოლქო კომიტეტის ხელმძღვანელობის აზრი და არგუმენტები. აქ კარგად იცოდნენ, რა მოჰყვებოდა თარბას განთავისუფლებას გუდაუთის სოფლებში – ლიხში თუ დურიფშში. ამიტომ ყოველთვის იხედნენ უკან, ახლა კი სამედიცინო საზოგადოების ქართული ნაწილი მოითხოვდა არსენ თარბას გადაყენებას და სამაგალითოდ დასჯას, რაც, ბუნებრივია, არარეალური იყო.

ამ დროს იყო მოწოდებებიც: უნდა აგველო იარაღი, თოფი უნდა გავარდნილიყო აფხაზეთში, და ეს ექიმების მიერ უნ-

აფხაზეთის ფილიალის ერთ-ერთ ლიდერს. სწორედ ბატონი თემურ მჟავია ამ ორგანიზაციის სხვა წევრებთან ერთად უმაგრებდა ზურგს საზოგადოების ამ ექსტრემისტულ ნაწილს ახლად დაარსებულ სოხუმის უნივერსიტეტის ორად გაყოფაში. ესენი ამ საქმეს იდეოლოგიურად უზრუნველყოფდნენ: თურმე აფხაზეთის მოსახლეობა, რომლის უმრავლესობას ადგილობრივი ქართველები შეადგენდნენ, ეროვნული სულისკვეთებისა და აზროვნების დეფიციტს განიცდიდა(!) და საჭირო იყო, თურმე, სოხუმში კიდევ ერთი სულიერების კერის შექმნა. ასეთი დონის ფარისველობას ჰქონდა ადგილი! ნამდვილი მიზეზი კი დღეს ყველამ კარგად იცის! დღეს უკვე ეჭვს აღარ ინვევს, რომ აფხაზეთის უნივერსიტეტის ორად გაყოფა მავანთა კომერციულ მიზნებს ემსახურებოდა. „აფხაზეთი ისე ირიცხებოდა უნივერსიტეტში, რომ მაღლობასაც არ გვეუბნებოდა. თუ ვინმე იხდის, ეს ისევე ჩვენები არიან და რატომ უნდა ილექებოდეს ეს თანხა აფხაზების ჯიბეებში?“ – ასეთი სიტყვები არაერთგზის გვსმენია სოხუმელებს ჩვენი მეგობრებისაგან, სოხუმის ახალშექმნილი ქართული უნივერსიტეტის თანამშრომლებისაგან. ორგანიზაცია „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოს“ ლიდერებს შესანიშნავად ჰქონდა ანგობილი ურთიერთობა აფხაზთა ანტიქართულ წრეებთან, კერძოდ, გაერთიანება „აიდგილარას“ თავკაცებთან – სერგეი შამბასა და ზურაბ აჩბასთან. სწორედ მათთან ინტენსიური კულუარული თანამშრომლობის შედეგად მიიღეს ის საბედისწერო ენ. დისპროპორციული, სინამდვი-



ალუი გახვეული მთელი კვარტალი

ლეში კი დისკრიმინაციული, აპარტიდული საარჩევნო კანონი, რომელიც ითვალისწინებდა 90-ათასიანი ეთნიკური უმცირესობისათვის 28, ხოლო 250-ათასიანი ქართული მოსახლეობისათვის მხოლოდ 26 სადეპუტატო ადგილს უმაღლეს საბჭოში. სწორედ ამ პოლიტიკურმა დაჯგუფებამ ბატონ გივი ლომინაძესთან და ბატონ მურმან ომანიძესთან ერთად, შეცდომაში შეიყვანეს ქვეყნის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია და აფხაზეთში არნახული, დამნაშავეობრივი პოლიტიკური სიბეცე იქნა დაშვებული. ასეთი დათმობის ფასად, აფხაზური მხარე ლეზულობდა სრულ პოლიტიკურ თავისუფლებას უმაღლეს საბჭოში, და არა მარტო უმაღლეს საბჭოში, ხოლო ქართულ მხარეს პირდებოდნენ, რომ ერთ პაკეტად (ვ. არძინასთან ერთად) მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ აირჩევენენ სავარაუდოდ, გივი ლომინაძეს, ხოლო უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ – ნუგზარ მაგლობ-მოშვილს. მაგრამ მოხდა მოულოდნელი რამე: ქვეყნის პრეზიდენტმა ორივე თანამდებობაზე სულ სხვა კანდიდატურები დაასახელა და ამ ფარული გარიგების მონაწილეებს, როგორც იტყვიან, „კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ“. აი, აქედან იწყება უმაღლესი საბჭოს სესიებიდან ქართველი დეპუტაციის გაუთავებელი სირბილ-გამოქცევები, რამაც გააღრმავა ისედაც დაძაბული პოლიტიკური და საზოგადოებრივი ვითარება აფხაზეთში. სწორედ ამ დისკრიმინაციულმა საარჩევნო კანონმა გადანიჭა დასაბამიდანვე ომისა და მშვიდობის ბედი აფხაზეთში და ამის მოთავე და ავტორები, სხვებთან ერთად, იყვნენ ბატონი მუჟაფი და მისი მეგობრები, „მრგვალი მაგიდა“ – თავისუფალი საქართველოს“ აფხაზეთის ფრაქციიდან.

ბატონმა ნაპომ და მის ირგვლივ გაერთიანებულმა სამედიცინო საზოგადოების პროფესიულმა ნაწილმა კი, მათგან განსხვავებით, რესპუბლიკური საავადმყოფოს ბაზაზე შექმნეს ე.წ. СТК (Совет трудовых коллективов) – შრომითი კოლექტივების საბჭო, რომელშიც გაერთიანდა როგორც ქართველი, ასევე აფხაზი ცნობილი მედიკოსები. მათთან ერთად შეიქმნა წესდება და მის საფუძველზე რესპუბლიკური საავადმყოფოს ყველა განყოფილებაში, კვოტების მიხედვით, დელეგატებდა არჩეულ იქნა საღად მოაზროვნე მედიკოსები და ისე ჩატარდა რესპუბლიკური საავადმყოფოს კოლექტივის შემავამებელი კონფერენცია, რომ მას არ გაჰკარებია არც ჯანდაცვის სამინისტრო და არც მთავრობის სხვა წარმომადგენელი. ექიმებმა ყოველგვარი აუთოტაჟის გარეშე, რაც მთავარია მშვიდობიანად (უსისხლოდ), კენჭისყრით გაათავისუფლეს არსენ თარბა რესპუბლიკური საავადმყოფოს მთავარი ექიმის თანამდებობიდან. ასე, ბატონმა ნაპომ, ამ გონიერმა და წინდახედულმა კაცმა, თანამოაზრეებთან ერთად შეძლო აფხაზეთში ის, რასაც ვერ ახერხებდნენ ჯანდაცვის სამინისტრო და პარტიის საოლქო კომიტეტი – აფხაზი არსენ თარბა განთავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და მის ნაცვლად რესპუბლიკური საავადმყოფოს მთავარ ექიმად დაინიშნა ქართველი თემურ შურდიაძე. მან ეს ისე მოახერხა, რომ არც ერთხელ არ შეხებია მეტად მტკივნეულ და სათუთ ეროვნულ თემს. ყველა კრება თუ კონფერენცია მისი თავმჯდომარეობით მიმდინარეობდა და პრობლემების მოგვარება არა ეროვნულ, ქართულ-აფხაზური ურთიერთობის ჭრილში, არამედ პროფესიულ სიბრტყეში წარმართა. არც ერთი მხრიდან ექსცესებს არ ჰქონია ადგილი. ყველაფერმა ისეთი კორექტულობით ჩაიარა, რომ არსენ თარბას თანამდებობიდან განთავისუფლების შემდეგაც არც ერთი საყვედური არ სმენია ვინმეს. უფრო მეტიც, ბატონ ნაპოსთან აფხაზი ექიმებისგან შემდგარი ათკაციანი ჯგუფი მივიდა თხოვნით, ემუშავა მას რესპუბლიკური საავადმყოფოს მთავარ ექიმად, მაგრამ მას, მონოდებით კლინიცისტს, არ იზიდავდა თანამდებობა და უარით გაისტუმრა ისინი. მას ენდობოდნენ და დღესაც ძნელად თუ მოიძებნოს ვინმე ისეთი, რომელიც ისეთი ნდობით და პატივისცემით სარგებლობდეს აფხაზებს შორის, როგორც ელიტურ წრეში, ასევე საზოგადოების ნებისმიერ ფენაში, როგორც ბატონი ნაპო. მას უსმენდნენ!

აქ არ გავაგრძელებთ საუბარს აფხა-

ზეთში დატრიალებულ მოვლენებზე და მის ტრაგიკულ შედეგებზე. ამაზე ბევრი ითქვა და ყველასთვის დღესაგით ნათელია, რომ დატრიალებული უბედურების, მისი შედეგების ძირითადი მიზეზი ხელისუფლების საღ აზრს მოკლებული პოლიტიკის და ცალკეული პიროვნებების ავადმყოფური, ზნედაცემული პოლიტიკური თუ კომერციული ამბიციებისა და ღალატის ტოლფასი შეცდომების შედეგი იყო. შევეხებით მხოლოდ ძალიან შეკუმშული ფორმით, ქართულ-აფხაზურ ურთიერთობაში იმ პოზიტიურ მოვლენებს, რომლებიც ბატონ ნაპოს სახელთან არის დაკავშირებული. ჯერ კიდევ 1991 წლის მონვევის აფხაზეთის უმაღლეს საბჭოში, სანამ იგი შეუდგებოდა თავის საქმიანობას, შეიქმნა პოლიტიკური კრიზისი. დაირღვა ადრე მხარეებს შორის მიღწეული შეთანხმება, რომლის თანახმად უმაღლეს საბჭოსა და მთავრობის თავკაცებს აირჩევდნენ ერთად, ერთი და იგივე სესიაზე, ერთ პაკეტში. ასე უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ ცალკე იქნა არჩეული ვლადისლავ არძინა, ხოლო მისი პირველი მოადგილის საკითხი დარჩა ღია. ქვეყნის პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას მიერ შემოთავაზებული თამაზ ნადარეიშვილის კანდიდატურა მიუღებელი აღმოჩნდა აფხაზური დეპუტაციისთვის. მას უხსენებდნენ „გაგრულ საქმეებს“, მის ანტიაფხაზურ „მოღვაწეობას“. ისინი მოითხოვდნენ სხვა კანდიდატურას, რაც, ბუნებრივია, შეუძლებელი იყო. ამდენად უმაღლესი საბჭო იშლებოდა, სანამ შეუდგებოდა თავის საქმიანობას. იძაბებოდა ისედაც დაძაბული საზოგადოებრივი და პოლიტიკური ვითარება აფხაზეთში. ამ დროს ბატონი ნაპოს გონივრული და ენერგიული ძალისხმევით განიმუხტა ეს ვითარება. მასთან, ამ საკითხთან დაკავშირებით, არაერთხელ მოსულან აფხაზური მხარის ცნობილი წარმომადგენლები სერგეი ბალაფში და ბატონი დავით ფილია. თვითონაც, რომ არ შემწეულიყო, ძმის ან მეგობრის მანქანით, ღამ-ღამობით ჩადიოდა გაუდაუთაში და იქ სვდებოდა კონსტანტინე ოზგანს და „უსუცესთა საბჭოს“ წარმომადგენლებს. ასეთი კულუარული მუშაობის შედეგად თამაზ ნადარეიშვილი მომდევნო სესიაზე ვლადისლავ არძინას პირველ მოადგილედ იქნა არჩეული. ეს ფართოდ ცნობილი ფაქტია! მაგრამ უცნობია, რა უთხრა ისეთი ბატონმა ნაპომ უმაღლესი საბჭოს ერთ-ერთ სხდომაზე შესვენების დროს ვლადისლავ არძინას და კონსტანტინე ოზგანს, რომ „ნიურნბერგის“ პროცესებამოვლილი ორი ძალოვანი სტრუქტურის თავკაცებიდან მხოლოდ მთავარი პროკურორი, აფხაზი აპოლონ კვიცინია განთავისუფლდა თანამდებობიდან, ხოლო ასევე მოსახსენილად განწირული შინაგან საქმეთა მინისტრი, ქართველი გივი ლომინაძე დარჩა დაკავებულ თანამდებობაზე. მაშინ რა იცოდა ბატონმა ნაპომ, რომ მოხსნა გადარჩენილი ბატონი ლომინაძე, ჯაბა იოსელიანისა და თენგიზ კიტოვანის მეშვეობით, შემდგომ ისე მაღლა ახტებოდა, რომ მთავრობის თავმჯდომარის მაღალ სავარძელში ჩასტომას შეეცდებოდა, თორემ ბატონი ნაპო არ შეეცდებოდა, ალბათ, მის გადარჩენას და ამით თავიდან ავიცილებდით შემდგომ განვითარებულ გართულებებს. მით უფრო, რომ მინისტრმა ლომინაძემ სასტიკად დააღალატა ბატონი ნაპო და მისი ოჯახი მათთვის ყველაზე მძიმე და ტრაგიკულ მომენტში. მიუხედავად ამისა, როდესაც უმაღლესი საბჭოს სესიაზე დადგა გივი ლომინაძის მთავრობის თავმჯდომარედ არჩევის საკითხი, ბატონმა ნაპომ, ბევრი ქართველი დეპუტატისაგან განსხვავებით, ღიად მისცა მას ხმა, თუმცა იცოდა, რომ მისი კანდიდატურა იმთავითვე განწირული იყო: ასჯერ რომ დამდგარიყო, ასჯერვე ჩავარდებოდა იგი! ეს იცოდა ბატონმა ნაპომ, მაგრამ ამ შემთხვევაში მან ხმა მისცა ქართულ პოზიციას – იმას, რომ ბოლოს და ბოლოს დამთავრებულიყო მთავრობის თავმჯდომარის პოსტთან დაკავშირებული გაუთავებელი კულუარული ბინძური თამაშები. ასეთ კაცს ქალბატონი ქარაია და ბატონი მუჟაფი, უმაღლეს საბჭოს ზოგიერთ მოღვაწესთან ერთად, ჩასაფრებულს და დაბოღმულს უწოდებენ! რა სინდისით, რა ნაშუქით?! ნაპო მესხიამ ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე 8 თვით ადრე ქვეყანა ააცილა უბედურებას, ომის დაწყებას, როდესაც 1992 წლის იანვრში წინ აღუდგა სა-



ქართავკლელი ომის მსხვერპლნი

ხელისუფლო კრიმინალური სამხედრო შენაერთების გადასვლას ზუგდიდიდან აფხაზეთში. მან იცოდა, რომ მოხდებოდა სისხლიანი შეტაკება ენგურის მარჯვენა მხარეს მდგარ აფხაზურ სამხედრო დაჯგუფებასთან და ამით ომი დაიწყებოდა. ბატონი ნაპო აკეთებდა ყველაფერს იმისთვის, რომ მოეხსნა ფეთქებადსაშიში ვითარება, იგი ისევ და ისევ ჩადიოდა გაუდაუთაში, სვდებოდა იქ ცნობილ ლიდერებს, „უსუცესთა საბჭოს“ თავკაცებს და ასეთი კულუარული მუშაობის შედეგად, მიაღწია შეთანხმებას აფხაზური დელეგაციის თბილისში ჩასვლის შესახებ. ომის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე თბილისში ჩამოვიდნენ სერგეი ბალაფში, ზურაბ აჩბა, დავით ფილია და ანრი ჯერგენია. ისინი შესვდნენ ქვეყნის თავკაცებს – ედუარდ შევარდნაძეს, თენგიზ სიგუას, ჯაბა იოსელიანს და თენგიზ კიტოვანს. თავადვე ესწრებოდა ამ შესვენებას. შეთანხმდნენ, რომ ედუარდ შევარდნაძე ჩამოვიდოდა სოხუმში და შესვდებოდა კარძინას, მაგრამ მან ჩვეულებისამებრ მოიტყუა და მის ნაცვლად, ტანკები გამოაგზავნა აფხაზეთში. ასე ჩაიშალა ბატონ ნაპოს კიდევ ერთი მცდელობა, თავიდან აგვეცილებინა კონფრონტაციის გაღრმავება და მხარეებს შორის სისხლიანი შეტაკება; ამ დროს, პარარელურად მიდიოდა მზადება ქართული დეპუტაციაში გამოგზავნილი ცალმხრივი დადგენილების მისაღებად: თამაზ ნადარეიშვილი და მისი მომხრეები, აფხაზეთის ანტიაფხაზური ძალების მხარდაჭერით, 1992 წლის 29 ივნისს, ომამდე ორი კვირით ადრე, ე.წ. ქართულ უმაღლეს საბჭოს სესიაზე აყენებენ საკითხს აფხაზეთში მცხოვრები ქართველი მოსახლეობისათვის ცალკე(!!) მინისტრთა საბჭოს თავისი სამინისტროებითა და ძალოვანი სტრუქტურებით შექმნის შესახებ. ასე: პატარა აფხაზეთში იქმნებოდა მეორე მთავრობა (ქართველებისთვის!!!) რაც, პირდაპირი გამოწვევა იყო, ეს ომს იშნავდა. ბატონმა ნაპომ, მარტო ერთმა კაცმა, ერთმა დეპუტატმა, ჩაშალა ეს სესია და ავანტიურული დადგენილების მიღება. მან ამით კიდევ ერთხელ შეძლო ომის თავიდან აცილება; ომის დაწყებამდე ორი კვირით ადრე, ბატონმა ნაპომ მოაგვარა ძალოვანი სტრუქტურების, ქალაქების სოხუმისა და გაგრის თავკაცების თანამდებობების გადანაწილების საკითხი: პროკურორი პირველ ეტაპზე იქნებოდა აფხაზი, შინაგან საქმეთა მინისტრი – ქართველი, გაგრის, საქართველოს ამ კარიბჭის, თავკაცი ხუთი წლით იქნებოდა ქართველი, ხოლო ქ. სოხუმის – აფხაზი. ეს სქემა იმუშავებდა ხუთი წლით, ხოლო ყოველ მეექვსე წელს ის გადაიხედებოდა, მაგრამ საერთო ბალანსი დარჩებოდა უცვლელი „Вот; на этом и остановимся. Меня не выдавайте, а то „Аидгилара“ с меня голову снесет. Притритесь друг к другу на согласительной комиссии, которыми вы руководите, а когда меня выйдете, я не повешусь“, – ასე გამოემშვიდობა ვლადისლავ არძინა ბატონ ნაპოს და კონსტანტინე ოზგანს. ამ დროს მიმდინარეობდა, თურმე, ფარული გარიგებები: საზოგადოება „სოხუმელები“ (გია გვაზავა, რამაზ სიჭინავა და სხვ.) თმობდნენ, თურმე, ორივე ქალაქს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობის სანაცვლოდ. კონსტანტინე ოზგანი ეუბნებოდა, თურმე, ბატონ ნაპოს: „Чего Вы так убиваетесь, когда этот ваш

маленький депутат, как его, Гвазава уступает оба города, а Ваш Надареишвили отдает и МВД, лишь бы он был председателем?!“ – როდესაც ყველა იმედი გაუტყუვდათ და ჩაეშალათ ავანტიურული გეგმაც – პატარა აფხაზეთში მეორე მინისტრთა საბჭოს (!) შექმნის მცდელობაც, ექსტრემისტულმა დაჯგუფებამ (თამაზ ნადარეიშვილმა, გია გვაზავამ, ეთერ ასტემიროვამ, რაისა ქარაიამ და კიდევ ერთმა დეპუტატმა, რომელიც შემოიერთეს თბილისში, მაგრამ ის აქ არ სახელდება, რადგან, როგორც ვიცით, აღიარა და მოინანია ეს საბედისწერო და ბევრი სხვა სერიოზული შეცდომა) და ე.წ. ეროვნული ერთიანობის საბჭოს მესვეურებმა მაინც მიაღწიეს სანადელს – დაარწმუნეს „გოსსაბჭოს“ თავკაცები, რომ აფხაზებს აფხაზეთი ბორბლებზე ჰქონდათ შეყენებული და გადაშქონდათ ფსოუს იქით და... ტანკები შემოიყვანეს. ასე დაიწყო ომი აფხაზეთში!

აფხაზი მოსახლეობისა და ხელისუფლების აფხაზური ნაწილის გაუდაუთაში გადასვლის შემდეგ, უფრო გააქტიურდა უმაღლესი საბჭოს მილიტარისტული ნაწილი თამაზ ნადარეიშვილისა და ე.წ. ეროვნული ერთიანობის საბჭოს ლიდერის ბორის კაკუბავას თავკაცობით. ისინი დაადგნენ ისევ ძველ გზას – ქართული მთავრობის შექმნას. ბატონი ნაპო და მისი ჯგუფი აკაკი გასვიანის, კიმი ჯაჭვლიანისა და ჯემალ გამახარისა შემადგენლობით კოლევებს თავაზობდა სხვა გზას: ქართული დეპუტაციის ბაზაზე დროებითი განმეარგულებელი და შემსრულებელი კომიტეტის – ერთგვარი აღმასკომის შექმნას, რომლის სათავეში იქნებოდნენ ისევ უმაღლესი საბჭოს პრეზიდენტის ქართველი წარმომადგენლები თამაზ ნადარეიშვილის ხელმძღვანელობით. უკანასკნელი პირველ ხანებში თითქმის თანახმა იყო და ეს საკითხი ბატონმა ნაპომ შეათანხმა ედუარდ შევარდნაძესთანაც. ამ ჯგუფმა შეიმუშავა კიდევც ამ აღმასკომის მუშაობის წესდება და საკითხი დადგა დეპუტაციის ქართული ფრაქციის განსახილველად. ამით უქმდებოდა „სტაბილიზაციის დროებითი კომიტეტი“ და, რაც მთავარია, ვინარჩუნებდით აფხაზურ მხარესთან მისახილველ გზებს და კონსტრუქციული დიალოგის გამართვის პერსპექტივას, მაგრამ დაწინაურდნენ თამაზ ნადარეიშვილი და პრეზიდენტის სხვა წევრები სხდომას არ დაესწრნენ. მეორე დღეს კი ქალბატონებმა ქარაიამ და ასტემიროვამ ბატონ მუჟაფასთან ერთად, წივილ-კივილით ჩაშალეს დეპუტატთა ფრაქციის სხდომა და იქ მოსულ ბორის კაკუბავას თანხლებით, თამაზ ნადარეიშვილთან ერთად გადავიდნენ მთავრობის სხდომათა დარბაზში, სადაც მიმდინარეობდა ე.წ. ეროვნული ერთიანობის საბჭოს გაფართოებული თავკრილობა. ასე, ამ არალეგიტიმურ მომიტინგე აუდიტორიაში კენჭისყრით, ზარ-ზეიმით აირჩიეს თამაზ ნადარეიშვილი ჯერ კიდევ არარსებული მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ. ცნობილი სიმღერისა არ იყოს, ასე ასრულდა თამაზ ნადარეიშვილის ოცნება, ასრულდა მის მომხრეთა მიზანი!

(ფარილს ხალს აწარს 26 აპრილი, რომელთა გვარ-სახელივს პუპლიკაციის გოლოს, სვალ შამოგთავაზავთ (გაბრაქილაა შამიდა ნომირში)

რუსული პროპაგანდა დიდი მონდობებით ამკვიდრებს საქართველოში მთელ რიგ მითებს ქვეყნის ევროატლანტიკური სწრაფვის შესაფერხებლად. ასე, მაგალითად, აქტიურად ინერგება მითი, თითქოს ქვეყანაში საქართველოს ევროატლანტიკური მისწრაფებების მხარდამჭერ მოქალაქეთა რაოდენობა ყოველწლიურად იკლებს. არადა, სტატისტიკა საპირისპიროზე მეტყველებს.

კერძოდ, მართალია, ევროინტეგრაციის სასურველზე უფრო ნელი ტემპის გამო სანყის ეტაპზე გარკვეული იმედგაცრუება გაჩნდა და მის ფონზე ნატოში გაწევრიანების მხარდამჭერთა რაოდენობამ მცირედით მართლაც იკლო, თუმცა შემდგომ წლებში ეს ტენდენცია აღარ გაგრძელებულია და მეტიც, რიგი კვლევების შედეგების თანახმად, ევროატლანტიკური ინტეგრაციის კურსის მომხრეთა რიცხვმა იმატა კიდევ.

მაგალითად, აშშ-ის ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) კვლევების შედეგების თანახმად, ალიანსში გაწევრიანებას ყველაზე მეტი მხარდამჭერი 2008 წელს ჰყავდა (80%), 2015 წლისთვის ეს მაჩვენებელი 69%-მდე იყო შემცირებული, 2016 წლისთვის – 64%-მდე, თუმცა 2017 წლიდან კვლავ ზრდა დაიწყო – 68%-მდე და 2018 წლისთვის უკვე 75% შეადგინა.

გეოპოლიტიკა თუ არა ნანატრი მკა-ი?

მრთ-მრთი თემა, რომელსაც ამ მხრივ რუსული პროპაგანდა იარაღად იყენებს, საქართველოსთვის ეწ. წევრობის სამოქმედო გეგმის – MAP-ის მინიჭების გაჭიანურება. ამის საფუძველზე თესვენ აზრს, რომ „ქვეყნას ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში არასოდეს მიიღებენ, დროა, ეს გავითავისოთ და ნატოსთან არაფრისმოძებნი ერთობლივი ღონისძიებებით კრებლის გაღიზიანების ნაცვლად, საპირისპირო – რუსეთთან დაახლოების ორბიტაზე გადავიდეთ“.

MAP-ი (Membership Action Plan) 1999 წლის ვაშინგტონის სამიტზე შეშუშავებული „განწევრიანების სამოქმედო გეგმა“, რომელიც ალიანსში გაწევრიანების მსურველ ქვეყნებს შესაძლო წევრობისთვის მომზადებაში ესმარებათ. MAP-ი წარმოადგენს დროში განწერილი რეფორმების გეგმას, რომელთა შესრულების შემთხვევაში, ალიანსის წევრი სახელმწიფოების პოლიტიკური გადაწყვეტილებით, ქვეყანა ნატოს წევრი გახდება. საქართველოსთან დაკავშირებით MAP-ი პირველად ჯერ კიდევ 2008 წელს, ბუქარესტში გამართულ სამიტზე ასხენეს. მაშინ ალიანსის წევრები შეთანხმდნენ, რომ საქართველო ნატოს წევრი MAP-ის მინიჭების გზით გახდებოდა. მას შემდეგ 10 წელი გავიდა და, „წევრობის სამოქმედო გეგმა“ დღემდე არ გვაქვს, რაც ჩვენს ქვეყანაში ერთგვარი იმედგაცრუების მიზეზად, ევროსკეპტიკოსებისთვის კი დამატებით საბაზად იქცა.

გარკვეულ ეტაპზე, კერძოდ, ვარშავის 2015 წლის სამიტამდე თბილისში იმის ალბათობასაც განიხილავდნენ, რომ საქართველო ალიანსში MAP-ის გარეშე მიეღოთ.

„ჩვენ არ ვითხოვთ MAP-ს, არ გვაქვს ამის მოთხოვნილება, არც ახირება და არც მიზანი. ჩვენი მიზანი არის ნატოში წევრობა. არც ერთხელ, არც ერთ მინისტერიალზე არ მომითხოვია MAP-ი, მე ვითხოვ საქართველოს წევრობას ნატოში. ყველაფერი, რაც ესმარება საქართველოს განწევრიანებას ნატოში, არის ჩემი ამოცანა. ვარშავიდან მინდა, დავბრუნდეთ, როგორც ქვეყანა უფრო მეტი ინსტრუმენტით იმისთვის, რომ ის ფანჯარა როდესაც გაიღება, ვიყოთ მზად მასში შესასვლელად, ზუსტად ისე, როგორც ბალტიისპირეთი, ჩეხეთი, პოლონეთი და ბევრი ქვეყანა შევიდნენ. ეს ფანჯარა აუცილებლად გაიღება, ამაზე ყველა საუბრობს. ამას სჭირდება შესაბამისი გეოპოლიტიკური ვითარება, ოღონდ ჩვენ უნდა გვექონდეს ყველა ინსტრუმენტი ამისთვის. MAP-ი საქართველოსთვის წარსულია. ამას ვამბობ სრული პასუხისმგებლობით“, – ასე გამოეხმაურა იმხანად თავდაცვის მინისტრი თინა ხიდაშელი ნატოს გენმდივნის სპეცნარმომადგენლის ჯეიმს აბატურაის განცხადებას იმის შესახებ, რომ საქართველო MAP-ს ვერც ვარშავის სამიტზე მიიღებდა.

საბოლოოდ ამ საკითხთან დაკავშირებით განმარტებები ნატოს ოფიციალურმა პირებმა გააკეთეს. ერთმნიშვნელოვნად აღინიშნა, რომ MAP-ის გარეშე საქართველო ალიანსის წევრი ვერ გახდება, თუმცა MAP-ი ალიან-



საქართველო, ნატო, რუსეთი: იკლებს თუ არა ევროატლანტიკური კურსის მხარდამჭერა?

სში გასაწევრიანებლად მხოლოდ ფორმალური ნაბიჯია და ჩვენს ქვეყანას სადღეისოდ უკვე გააჩნია ყველა ინსტრუმენტი, რათა ნატოს წევრობისთვის მოემზადოს.

ზემოთქმული ალიანსის მიერ ბოლო წლებში მიღებულ თითქმის ყველა დეკლარაციაშია აღნიშნული.

„სადავლიანოდ საქართველოს აქვს ყველა პრაქტიკული საშუალება, რომ მოემზადოს ნატოს წევრობისთვის. საქართველო გახდება ნატოს წევრი, როცა ამისათვის საჭირო კრიტერიუმებს დააკმაყოფილებს. თუმცა სანამ საქართველო შეძლებს, ნატოს შეუერთდეს, კონსენსუსის გზით აუცილებლად უნდა იქნას მიღებული გადაწყვეტილება MAP-ის მინიჭების შესახებ. ეს შესაბამება ბუქარესტის 2008 წლის სამიტზე მიღებულ გადაწყვეტილებებს. მოკავშირეებმა იგივე დადასტურეს ვარშავის სამიტზეც. თუმცა, ისევ და ისევ, ახლა აქცენტი კეთდება რეფორმების კუთხით დაწინაურებაზე და საქართველოს მომზადებაზე საბოლოო წევრობისთვის, როგორც ეს ათი წლის წინ გადაწყდა“, – განუცხადა „აქცენტს“ ალიანსის გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა.

„2018 წელს ბრიუსელში გამართულ სამიტზე კიდევ ერთხელ ითქვა, რომ საქართველოს გააჩნია ყველა ინსტრუმენტი, მოემზადოს ნატოს წევრობისთვის. ეს ნიშნავს, რომ ამისათვის საქართველოს MAP-ი არ სჭირდება. თუმცა წევრობის სამოქმედო გეგმა რჩება ფორმალურ მექანიზმად. ანუ, საქართველო MAP-ის გარეშე შეძლებს, მოემზადოს წევრობისთვის და MAP-ის საფუხური იმ წუთშივე იქნება გადაღებული, როგორც კი განწევრიანების საკითხი მომწიფდება“, – განუმარტა „აქცენტს“ რონდელის

ფონდის ევროპული კვლევების ცენტრის დირექტორმა კახა გოგოლაშვილმა.

შინ და რა აუპირხებს NATO-ში საქართველოს განწევრიანებას? რუსეთის ფაქტორი

ნატოს ოფიციალურ პირებს არაერთგზის გაუუკეთებიათ განცხადებები იმის შესახებ, რომ ალიანსი გაფართოების გადაწყვეტილებებს წევრთა კონსენსუსის საფუძველზე იღებს და ვერც ერთი მესამე ქვეყანა ამ პროცესზე გავლენას ვერ მოახდენს. თუმცა კონსენსუსი სადღეისოდ არ არსებობს და როგორც ბოლო დროს უკვე ნათლად გამოიკვეთა, ამ მხრივ უმთავრესი განმამირობებელი ფაქტორი რუსეთია.

კერძოდ, ალიანსის რიგი ქვეყნები მიიჩნევენ, რომ თუ საქართველოს ნატოში მიიწვევენ, მოსკოვი თბილისთან მორიგი კონფლიქტის პროვოცირებას შეეცდება, რაც არც თავად საქართველოსთვის და არც მათთვისაა სასურველი.

ერთ-ერთი პირველი მკაფიო განცხადება ამ საკითხზე ნატოს გენერალური მდივნის სპეციალურმა წარმომადგენელმა კაკა-სიასა და ცენტრალურ აზიაში ჯეიმს აბატურაიმ ჯერ კიდევ 2016 წელს გააკეთა, აღნიშნა, რომ ნატოს ზოგიერთი წევრი ქვეყანა საქართველოსთვის უსართობების დამატებითი გარანტიების არსებობის გარეშე MAP-ის (წევრობის სამოქმედო გეგმა) მინიჭებას არ თანხმდება, რადგან ეს თავად თბილისისთვის რისკებს გაზრდის.

მოსკოვს საბაზი არ სჭირდება: როსა სურს, თაყაღ პოპულოზ?

მართლაც, კრემლი თბილისის კვლავ ემუქრება და ამჯერად არათუ ალიანსში გაწევრიანების, არამედ მასთან შემდგომი დაახლოების შემთხვევისთვისაც.

„ნატოს ინფრასტრუქტურის ჩვენს საზღვრებთან მოახლოება რუსეთისთვის განსაკუთრებულად საფრთხის შემცველია და ჩვენი რეაქცია ამ საკითხთან დაკავშირებით უკიდურესად უარყოფითი იქნება“, – განაცხადა რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა 17 ივლისს „Fox News“-სთვის მიცემულ ინტერვიუში საქართველოში მიმდინარე ნატოს წვრთნების კომენტარებისას.

თუმცა შთაბეჭდილება, თითქოს ნატოში ჩვენი მისწრაფება იწვევს რუსეთთან კონფლიქტს და „თუ წყნარად ვიქნებით, ყველაფერი კარგად იქნება“, ცხადია რუსული პროპაგანდის მორიგ ნაყოფს წარმოადგენს. არის თუ არა რუსეთის მხრიდან მეზობლების მიმართ აგრესიის რეალური მიზეზი ნატოში მათი სწრაფვა? ისტორია გვიჩვენებს, რომ არა:

1) თითქმის ყველა მეზობელს რუსეთმა თავს მოახვია ეთნიკური კონფლიქტი, განურჩევლად იმისა, სურდათ თუ არა მათ ნატოში შესვლა: 1991 და 1992 წელს – საქართველოს, ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთში; 1990 წელს – მოლდოვას დნესტრისპირეთში; 1990 წელს – აზერბაიჯანს მთიან ყარაბაღში; 2008 წელს – კვლავ საქართველოს; 2013 წელს – უკრაინას ყირიმსა და დონბასში. და სწორედ რუსეთი ინარჩუნებს ამ კონფლიქტებს დღემდე;

2) მხოლოდ 2008 წელს და 2014 წელს საქართველოსა და უკრაინაში კონფლიქტების დროს იყო ამ ქვეყნებში პროდასავლური ხელისუფლებები. ყველა სხვა დროს იყო პრორუსული ან ნეიტრალური;

3) რუსეთის ერთადერთი მეზობლები, სადაც დღემდე ეთნიკური რუსები ცხოვრობენ, მაგრამ რუსეთმა ვერ მოახერხა კონფლიქტების ინსპირირება, სწორედ რომ ნატოს წევრი ბალტიისპირეთის სახელმწიფოებია.

დასკვნა: რუსეთის აგრესიის მიზეზი არის არა ნატო, არამედ მეზობლების დამოუკიდებლობასთან შეუგუებლობა! ნატოში წევრობა კი არის დაცვა რუსეთის მიერ თავსმოხვეული კონფლიქტებისგან.

რა და რისთვის კითდება დღეს?!

რომპორც ჯეიმს აბატურაიმ ამას წინათ „პირველ არხთან“ ინტერვიუში განაცხადა, ახლა კითხვა შემდეგნაირად დგას: როგორ წავიდეთ წინ?

„ჩვენ გვსურს, საქართველო დაეუახლოვოთ ალიანსში წევრობას ისე, რომ არ დაეძაბოთ უსაფრთხოება როგორც საქართველოსთვის, ისე რეგიონისა და ნატოსთვის. რა თქმა უნდა, ამას აქვს კავშირი რუსეთთან. რუსეთს არა აქვს ვეტოს უფლება ნატოს გადაწყვეტილებებზე, მაგრამ ურთიერთობების საერთო მდგომარეობა არის ამ ყველაფრისთვის კონტექსტი. რა უნდა გავაკეთოთ ჩვენ? ჩვენ უნდა ვიმუშაოთ 2 საკითხზე: 1) მზაობაზე და ამას ვაკეთებთ; 2) პოლიტიკურ გარემოზე და ორივე სწორი მიმართულებით წავიყვანოთ წინ. ჩვენ ასეც ვიქცევით“.

მარი ჩუბინიძე, საინფორმაციო სააგენტო „აქსენტი“

რუსეთმა შავი ზღვის საზღვარი სივრცე კონტროლზე აიყვანა

ყირიმში განლაგებული რუსეთის მესამე დივიზიონის მეთაურის ალექსანდრე ტარანოვის თქმით, მიმდინარე კვირიდან შავი ზღვის საზღვარ სივრცე რუსეთის ჰაერსაწინააღმდეგო სისტემების კონტროლზეა აყვანილი.

ამის შესახებ რუსული გამოცემა „კრასნაია ზვეზდა“ წერს. „ამჟამად ჩვენ შავ ზღვაზე ჩრდილოეთ და დასავლეთი მიმართლებების მაქსიმალურ კონტროლს ვახორციელებთ“, – აღნიშნა ქვედანაყოფის ხელმძღვანელმა. მისი ინფორმაციით, აღნიშნულის მიღწევა სარაკეტო საზენიტო კომპლექს C-400-ის საშუალებით გახდა შესაძლებელი, რომელიც დივიზიონს გადაეცა.



ჟერ კიდევ ადრეულ პერიოდში ნორმალური მეტყველებისა და სასაუბრო ენის ჩამოყალიბებამდე ცეკვა (როკვა) თხრობის ერთ-ერთი საშუალება იყო. მოგვიანებით მასში თავს იჩენს მისტიკური ელემენტები. ასე მაგალითად, სვანეთში დღემდე შემორჩენილია რელიგიურ-მისტიკური ხასიათის, საფერხულო წყობის უძველესი ცეკვები: ქალღმერთ დალის პატივსაცემი — „დალი კოჟას ხელსაყაღე“ (დალი კლდეში მშობი-არობს), „ბაილ-ბეთქილ“, „ამირანის ფერხული“, „ლილე“, „დიდებაი“, „ადრევილი“ და სხვა. განვითარების შემდგომ ეტაპზე ცეკვამ თანდათან დაკარგა რალაც მითიური ხასიათი და მოძრაობათა დახვეწისა და მხატვრული განზოგადების შემდეგ ჩამოყალიბდა როგორც ხელოვნება. თანდათან გაჩნდა ცეკვის რამდენიმე სისტემა: ხალხური ცეკვა, კლასიკური ცეკვა (ბალეტი) და სხვა სახის ცეკვები. ხალხურ ცეკვებში ხშირად გამოსჭვივის მებრძოლი სულისკვეთება, გმირობა და სიმამაცე, გადმოცემულია როგორც ბრძოლის, ასევე შრომის სცენები. ასეთებია: „ხორუმი“, „ფარიკაობა“, „ზემყრელო“ (ორ და სამსართულიანი ფერხული), არის სატრფიალო, ქალისადმი მოკრძალებული დამოკიდებულების ცეკვა „ქართული“ და უამრავი სხვა. ბალეტი XV საუკუნეში შეიქმნა იტალიაში, შემდეგ სხვაგანაც გავრცელდა. XX საუკუნეში ბალეტმა უკვე აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებზე მოიცვა. 1916 წელს თბილისში ჩამოყალიბდა პირველი საბალეტო სტუდია მარია პერინის ხელმძღვანელობით. მოგვიანებით, 1934-35 წწ. ქართული ტანვარჯიშის ერთ-ერთი ფუძემდებლის, ბალეტმანისტერისა და ეროვნული ქორეოგრაფიის მეცნიერული მკვლევარის დავით ჯავრიშვილის ინიციატივით შეიქმნა შეიდეკლასიანი „სახელმწიფო ქორეოგრაფიული სტუდია“. ასე, რომ ქართული ქორეოგრაფიის დაარსებას და შემდგომ განვითარებას თავისი ისტორია გააჩნია, რომლის გარკვეული პერიოდი ჯავრიშვილის შემოქმედებასთანაა დაკავშირებული.



ქართული
ხალხური

დავით ჯავრიშვილი 1894 წელს დაიბადა გორის მაზრის სოფელ ერთანმინ-დაში. მამამისი ლავრენტი ჯავრიშვილი ფოსტატელეგრაფის მოხელე იყო, ხოლო დედა სოფიო ფალავანდიშვილი, ფრიად განსწავლული დიასახლისი გახლდათ. მამა ადრე გარდაეცვალა. პატარა დავითი და მისი დამა ბიძებმა, დედის ძმებმა შეიფარეს, რომლებიც სოფელ კნოლევიდან თბილისში გადმოვიდნენ საცხოვრებლად, სადაც იგი სათავადაზნაურო გიმნაზიაში მიაბარეს. აქ ფიზკულტურის მასწავლებლად მივლინებული იყო ცნობილი სპორტსმენი და პედაგოგი გიორგი ეგნატაშვილი, რომელმაც უმოკლეს დროში ჩამოაყალიბა ტანვარჯიშული წრე, სადაც სხვებთან ერთად დავითიც ჩაერთო. უკვე IV-V კლასის მოსწავლეებმა გიმნაზიის ეზოში მოაწყვეს საგარეო ღერძი, რომელზეც რიგრიგობით ვარჯიშობდნენ. 1912 წელს მოსწავლეთა ჯგუფი ეგნატაშვილის ხელმძღვანელობით დიდი მასშტაბის საჩვენებელ ტანვარჯიშულ სანახაობას დგამს სამხედრო მუსიკის თანხლებით, სადაც დავითიც მონაწილეობს. სწორედ გიმნაზიაში სწავლისას ჩაეყარა საძირკველი მის მომავალს დიდ სპორტულ არენაზე. ჯერ კიდევ სასწავლებლის მოსწავლე, ჯავრიშვილი სატანვარჯიშო საზოგადოება „სოკოლის“ მწვრთნელი ხდება. ამ პერიოდში სამხედრო საქმეშიც გაიტაცა და 1914 წელს იგი თბილისის სამხედრო სასწავლებელში იუნკრად ჩაირიცხა. ერთი წლის შემდეგ პროპორჩიკის წოდებით ამთავრებს აღნიშნულ სასწავლებელს. 1915 წლიდან 1919 წლამდე დავითს არაერთი სამხედრო შენაერთის მიერ ჩატარებულ ბრძოლებში მოუხდა მონაწილეობა, სადაც სპორტულ-ადამრდებლობითი საქმიანობასაც ეწეოდა. 1918 წელს სამხედრო ხელმძღვანელობამ ჯავრიშვილი ტანვარჯიშის მასწავლებლად გაამწესა სამხედრო-საფერშლო სასწავლებელში.

სულ მალე დავითი თავის მეგობარ გაიოზ ბერელაშვილთან ერთად წევრიანდება საქართველოს სამხედრო კავშირში და მათი დაუნიებული თხოვნით ეს ორგანიზაცია აარსებს სპორტსაზოგადოება „ამირანს“, სადაც ვარჯიშის თავად ბერელაშვილი, ხოლო მოადგილე ჯავრიშვილი ინიშნება. უახლოეს პერიოდში „ამირანის“ ნაცვლად სპორტსაზოგადოება „შევარდენი“ იქმნება. 1919 წელს საზოგადოება „შევარდენის“ სახელით დავითს ქუთაისის ვაჟთა პირველ გიმნაზიასა და წმინდა ნინოს გიმნაზიაში აგზავნიან ვარჯიშთავად. ორი წლის შემდეგ იგი გადადის ბათუმში, სადაც უაღრესად საინტერესო და მრავალფეროვან სპორტულ მოღვაწეობას ეწევა. აჭარაში იგი აარსებს სპორტულ საზოგადოება „II — შევარდენის“ საბჭოს. დავითის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ 1925 წელს მისი უშუალო ხელმძღვანელობით ქართველი სპორტსმენები თურქეთს ეწვივნენ. თავისთავად, ეს იშვიათი შემთხვევა გახლდათ და ჩვენს ეროვნულ ინტერესებს ემსახურებოდა, რომელსაც ამავე დროს პატრიოტული სულისკვეთება ახლდა.

თანდათან მისი ინტერესის სფეროში ტანვარჯიშთან ერთად ქორეოგრაფიაც მოექცა. 1928 წელს კომპოზიტორ შალვა თაქთაქიშვილის მუსიკაზე დგამს ანტიკური ხასიათის მხატვრულ-ტანვარჯიშულ სპექტაკლს „ძველ ელადში“, რომლის ლიბრეტო ჯავრიშვილს ეკუთვნოდა.

დავით ჯავრიშვილი — მრავალხრივი საცოხანი და პედაგოგი



დავით
ჯავრიშვილი
აღსაზრდელობაში

ეს იყო გრანდიოზული სპექტაკლი, სადაც ოთხმოცდაათამდე მოსწავლე იღებდა მონაწილეობას. იგი გაბედულ ექსპერიმენტს მიმართავს და თავისუფალ ფიზიკურ ვარჯიშებთან ერთად ქართული ხალხური ცეკვის ელემენტები შეაქვს, რომელიც მუსიკის თანხლებით სრულდებოდა. პარალელურად საბალეტო ილეთების შესწავლა დაიწყო ცნობილ ბალეტმანისტერ ვარეცთან. ამავე პერიოდში მან ხელი მოჰკიდა ხალხური ცეკვების შეგროვება-შესწავლას, რისთვისაც თავისი ცოდნის ამაღლების მიზნით კონსულტაციებს გადის ივანე ჯავახიშვილთან და გიორგი ნიკოლაძესთან, აწყობს ექსპედიციებს ჯერ მთიან აჭარაში, შემდეგ კი სვანეთსა და საქართველოს სხვა რეგიონებში. ამ მოგზაურობის დროს დავითი ყურადღებით აკვირდებოდა, თუ როგორ ცეკვავდნენ ადგილობრივი მცხოვრებლები, ზეპირად იმასსოვრებდა მისთვის ყველა უცნობ საცეკვაო ილეთს, იწერდა მოცეკვავეების კომენტარებს, ახსნა-განმარტებებს და მოსაზრებებს. მან ფირზე აღბეჭდა უამრავი მასალა. ალბათ, სწორედ ამ დროს მოხდა გარდატეხა ჯავრიშვილის პიროვნებაში. ის კიდევ დიდხანს უთავსებდა ერთმანეთს ორ პროფესიას, მაგრამ საბოლოოდ, ქორეოგრაფიისადმი სიყვარულმა მაინც თავისი გაიტანა და ცეკვა მისთვის ყველაზე ახლობელი გახდა. მიუხედავად იმისა, რომ დავითს სცენაზე საერთოდ არ უცეკვია, მან განსაკუთრებული წვლილი შეიტანა აჭარის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის დაარსებაში.

აქტიურმა პრაქტიკულმა მუშაობამ გარკვეული გამოცდილება შესძინა, რაც მის შემდგომ ცხოვრებაში აისახა. იგი დგამს ცეკვებს: „ფერხული“, „ხორუმი“, „გოგონა“, „სახუმარო“, „ქალთა ცეკვა“ და სხვა. აქედან მოყოლებული ნიჭიერი ქორეოგრაფი სრულიად უანგაროდ და უდი-

დესი ენთუზიაზმით ემსახურებოდა უკვე თავის პირველ პროფესიად ქცეულ საქმეს, ქორეოგრაფიის სწავლებას. ამ მიზნით აჭარაში მან დააარსა ექსპერიმენტული ქორეოგრაფიული სტუდია.

სულ მალე დავით ჯავრიშვილის შემოქმედებითი მიღწევები უფრო სერიოზულ სახეს იძენს. 1931 წელს ქალაქ ხარკოვში პირველად განხორციელდა „აბესალომ და ეთერის“ დამდგმელ ქორეოგრაფად მიიწვიეს. მას ამ სპექტაკლში შეაქვს ცეკვები: „ლეკური“, „მირზაი“ და „მხედრული“. ამავე პერიოდში იქვე წარმატებით დგამს ოპერა „დემონის“, ხოლო სარატოვში ოპერა „დაისის“ ცეკვებს. ქართულ ოპერაში სხვა ცეკვებთან ერთად მისი ინიციატივით შეაქვს „ხეცსურული დავლური“. მოგვიანებით დიდ თეატრში, ლენინგრადისა და ოდესის თეატრებში დგამს ოპერა „აბესალომ და ეთერის“ ქორეოგრაფიულ მონაკვეთებს.

1933 წელს ჯავრიშვილი თბილისის ოპერის თეატრში მიიწვიეს ბალეტმანისტურად და ქართული ცეკვების დამდგმელად, რა დროსაც თეატრში დადგმული სპექტაკლების — „აბესალომ და ეთერის“, „დაისის“, „დარეჯან ციხერის“, „თქმულება შოთა რუსთაველზე“, „ქეთო და კოტეს“, „აიდას“ ქორეოგრაფიული მონაკვეთები მისი ხელმძღვანელობით ხორციელდება. ამ დროს იდგმება აგრეთვე ბალეტები: „კოპელია“, „ჯოკონდა“, „ლისტის მე-2 რაფორდია“ (დივერტისმენტი — ცალკეული ნომრების წარმოდგენა) და „გედების ტბა“.

მომდევნო პერიოდში დავითი გვევლინება როგორც ნოვატორი ქორეოგრაფი, მას აკაკი ანდრიაშვილის ოპერა „კაკო ყაჩაღში“ შეაქვს „წყვილთა დავლური“, „დავლურ-მთიულური“ და „ხანჯლური“, ხოლო იონა ტუსკიას ოპერა „სამშობლოში“ — „ქართული“, „აფხაზური“, „სახუმარო“ და „ხორუმი“. მან ოპერის სცენაზე დადგმული თითქმის ყველა ქართულ საოპერო სპექტაკლში შეიტანა ქართული ცეკვის თავისებური ილეთები, რამაც საგრძნობლად ამაღლა მათი ხარისხი. „დავით ჯავრიშვილის მიერ საოპერო სპექტაკლებში დადგმული ცეკვები არ იყო ცალკეულ საცეკვაო ნომერი, არამედ იგი გამომდინარეობდა ლიბრეტოსა და ოპერის შინაარსიდან. მისი დიდი ღვაწლი ქართულ ხალხურ ქორეოგრაფიაში იმიტომ გამოიხატება, რომ შექმნა ადრე არარსებული მრავალი ცეკვა, როგო-

რიც არის „ქალთა მასობრივი ცეკვა“ ოპერა „აბესალომ და ეთერში“, სადაც ქალთა ხელების მოძრაობა ვირტუოზულად იყო გამოყენებული; ოპერა „დაისში“ — „ფარიკაობა“, „კეჭნაობა“. სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში — „ნაბ-დურა“, „ხანჯლური“, „შუშპარი“ და მრავალი სხვა. საინტერესო ის არის, რომ მისი დადგმული ცეკვები არსად მეორედება და მაინც მრავალფეროვანია“, — წერს დავითის ყოფილი მოსწავლე, ქორეოგრაფი მამია ფირცხალაიშვილი. 1938 წელს ლიტვინენკოსთან ერთად იგი დგამს ბალეტ „მალთაყვას“ შალვა თაქთაქიშვილის მუსიკის მიხედვით. ეს იყო პირველი ქართული ბალეტი იმ პერიოდის ამსახველ თემაზე.

თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში ჯავრიშვილი თითქმის 20 წელზე მეტ ხანს მოღვაწეობდა. „თუ გადავხედავთ ჯავრიშვილის მიერ სასახელოდ განვლილ რთულ გზას, მის დიდ ღვაწლს თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში, ადვილად დავრწმუნდებით, თუ რამდენი რამ გაუკეთებია ამ ნიჭიერ ხელოვანს მისი სახელისა და დიდების უკვდავსაყოფად. ქართულ ოპერებში მან პირველმა დაამკვიდრა ხალხური ფოლკლორული ნიმუშების თეატრალიზება, რითაც საოპერო დადგმები მრავალფეროვანი ცეკვებით გაამდიდრა და სანახაობრივად მიმზიდველი გახადა“, — ამბობს დავითის ყოფილი მოსწავლე რუსუდან ფაილოძე.

პროფესიონალ და აკადემიურ მოცეკვავეთა კადრების აღზრდის მიზნით 1934 წელს ჯავრიშვილი თბილისში ხსნის უფასო ქორეოგრაფიულ სტუდიას, რომელსაც სულ მალე პერინის კერძო სტუდია შეუერთდა. ერთი წლის შემდეგ იგი სახელმწიფო სტუდიადაც გადაკეთდა, რომლის დირექტორი 1952 წლამდე თვითონ იყო. ამის შემდეგ დავითი ვახტანგ ჭაბუკიანმა შეცვალა, ხუთი წლის შემდეგ კი ამ სასწავლებელს ქორეოგრაფიულ-საბალეტო სასწავლებლის სტატუსი მიენიჭა, რომელიც დღემდე ჭაბუკიანის სახელს ატარებს.

ათეული წლების განმავლობაში ჯავრიშვილი მთელი მონდომებით იღვწოდა ახალგაზრდების მიერ ქართული ცეკვის სრულყოფილად დაუფლებისა და მათი პროფესიულ მოცეკვავედ ჩამოყალიბების საქმეში. მის მიერ აღზრდილი კადრებით იყო თითქმის დაკომპლექტებული თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი, ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი და უამრავი თვითმოქმედი ანსამბლები. საქართველოს მასშტაბით იგი ხშირად დგამდა იმ დროს ფართოდ გავრცელებულ გრანდიოზულ სპორტულ-ფიზკულტურულ სანახაობებს, სადაც როგორც წესი ქართული ცეკვის ილეთებიც შეჰქონდა. განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს მისი ხელმძღვანელობით ლონდონის, ბერლინის საერთაშორისო და ვარშავის ახალგაზრდობისა და სტუდენტთა V მსოფლიო ფესტივალზე ქართველ მოცეკვავეთა მონაწილეობა. იქაური პრესა მათ გამოხვალას მაღალ შეფასებას აძლევდა.

მან თბილისის თეატრალურ ინსტიტუტსა და მხატვრული თვითმოქმედების კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებელში ქორეოგრაფთა არა ერთი თაობა აღზარდა. დიდად მისი დავითი ანსამბლებისთვის სამოქმედო მეთოდური სახელმძღვანელოების შედგენა-შემუშავებაში. რაც არ უნდა უცნაურად მოგეჩვენოთ, მუდამ ძიებაში მყოფმა ხელოვნებამ, ქართული ცეკვის ნოტებიც კი შექმნა. ამაგდარ ხელოვანს მინიჭებული ჰქონდა საქართველოს სახალხო არტისტის საპატიო წოდება.

გარდაცვალება 1971 წელს, 77 წლის ასაკში. დაკრძალულია დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

მრავალხრივი ქორეოგრაფის და პედაგოგის დავით ჯავრიშვილის შემოქმედებითი საქმიანობა შემდგომ კვლევად მიუყვება იმსახურებს, რაც მეცნიერთა და ქორეოგრაფთა უცილობელ ვალდებულებად მიმაჩნია.



ბაღა
ძოძიაშვილი,
კულტურის დამსახურებული მუშაკი,
ვანო სარაჯიშვილის
ფონდის ვიცე-პრეზიდენტი.

❶ ძიუდო

გეაღლობთ, „ლიპო“

ბაძოში დასასრულს უახლოვდება ძიუდოსიტა მსოფლიოს ჩემპიონატი. გუშინ ტატამი 100 კილოგრამამდე წონითი კატეგორიის მოჭიდავეებს დაეთმო. საქართველოს ნაკრების წევრმა ვარლამ ლიპარტელიანმა სტარტზე ფრანგ ალექსანდრ იდირის მოუგო, მერე მის კვალს გაუყენა აზერბაიჯანელი ელმარ გასიმოვი, მეოთხედფინალში ეგვიპტელი რამადან დარევიში დაჯაბნა დანახევარფინალში გავიდა, სადაც მონღოლ ოტგონბაატარ ლხაგვასურენს დაუპირისპირდა. მეტოქენი აქამდე ორჯერ შეხვდნენ ერთმანეთს და ორჯერვე ლიპარტელიანმა გაიმარჯვა: პირველად – 2016 წელს რიო დე ჟანეიროს ოლიმპიური თამაშების მეოთხედფინალში, როდესაც ორივე 90 კილოგრამ წონით კატეგორიაში



რიაში გამოდიოდა, მეორედ კი წლეულს თებერვალში დიუსელდორფის გრანდ სლეიმის მეოთხედფინალში დაამარცხა.

„ლიპო“ ტრადიციას არც ამჯერად უღალატა – ვაზარით სძლია აზიელს და ფინალში გავიდა. მეორე ნახევარფინალში ერთმანეთს სამხრეთკორეელი გუამ ჩო და რუსეთის ნაკრების წევრი ნიკოლაიასოვი შეხვდნენ.

წარმატება კორეელს ხვდა წილად და სწორედ ის გახდა სატიტულო ბრძოლაში ჩვენებურის მეტოქე. სამწუხაროდ, „ჯვაროსანთა“ კაპიტანმა ვერც ამჯერად გატეხა ნავსი – დამატებითი დროის მე-5 წუთზე ვაზარით დამარცხდა და მესამედ გახდა მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი.

ლუბა დიდი

❷ ჭიდაობა

თურმანიძის „პერსხლი“

სლოვაკეთის ქალაქ ტრნავაში გამართულ ახალგაზრდა ფალავანთა მსოფლიოს ჩემპიონატში საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრების წევრმა რამაზ თურმანიძემ (61 კგ) ვერცხლის მედალი მოიპოვა. იგი ტურნირში მერვედფინალიდან ჩაება – ჯერ ბულგარელი ჰუსეინ სულეიმან ბექირი 14:3 დაამარცხა, მერე სამხრეთკორეელ მინსუ ჩოს 10:2 სძლია, ნახევარფინალში ყაზახ სირბაზ ტალგატს იოლად მოუგო – 10:0, გადაწყვეტ ორთაბრძოლაში კი რუსეთელ აბასგაჯი მაგომედოვთან 0:10 დამარცხდა და მეორე ადგილს დასჯერდა.

კვარცხლბეკის მესამე საფეხურზე ავიდა ზურინკო ურთაშვილი (97 კგ). ჩინელი ქირუი ბინისა (11:0) და თურქმენი ზიამუჰამეტ საფაროვის (10:0) ძლევის შემდეგ მან მეოთხედფინალი რუსთა მომავალ ჩემპიონ მაგომედხან მაგომედოვთან დათმო – 0:11. მან რეპეშაჟში ირანელ საჯად აზიზის 3:6 აჯობა, „ბრინჯაოსთვის“ ფინალურ დაპირისპირებაში კი თურქი ფეიზულა აქთურქი დაჯაბნა – 9:3.

გივი ბაგვა



❸ ჭადრაკი



ბათუმის სპორტის სასახლეში დაიწყო მსოფლიოს 43-ე საჭადრაკო ოლიმპიადა, რომელშიც ვაჟთა 185 და ქალთა 150 გუნდი (მათ შორის – სამ-სამი საქართველოდან) მონაწილეობს. პირველ ტურში მასპინძელთა ექვსივე ნაკრებმა წარმატებას მიაღწია. გაუნყებთ ჩვენი გუნდები – სა და ფავორიტთა შესვენდების შედეგებს:

ქალბაი

საქართველო (1)-სამხრეთი კორეა 3:1 (ნანა ძაგნიძე-ჩენგ ვანგი 1:0, ლელა ჯავახიშვილი-როზა ეინულა 0:1, ბელა ხოტენაშვილი-სეიონ ლი 1:0, მერი არაბიძე-იუზინ კიმი 1:0), საქართველო (2)-სამხრეთი აფრიკა 4:0 (ინგა ჭარხალაშვილი-ჯესი ფებრუარი 1:0, სოფიო გვეტაძე-დენის ბუაპი 1:0, სოფიო ხუბაშვილი-რებეკა სელკირკი 1:0, მირანდა მიქაძე-ჩარლის ვან ზილი 1:0), საქართველო (3)-სეიშელის კუნძულები 4:0 (ნინო ხომერიკი-ლიზა ადელინი 1:0, მარიამ ჯანიაშვილი-რეჩელ ჰოარაუ 1:0, ლილე ქორიძე-დერიკა ფიგარო 1:0, თამარ ესაძე-კლაუ-

წარმატებული სტარტი

დია კონტორეტი 1:0)... კოსტარ-რიკა-რუსეთი 0.5:3.5, უკრაინა-მონაკო 4:0, ტაჯიკეთი-ჩინეთი 0.5:3.5, ახალი ზელანდია-ინდოეთი 0:4, გვატემალა-პოლონეთი 1:3, ყაზახეთი-სინგაპური 3.5:0.5.

ვაჟბაი

სსპ (სმენადაქვეითებულითა საერთაშორისო ჭადრაკის კომიტეტის გუნდი)-საქართველო (1) 0.5:3.5 (იეჰუ-და გრიენფელდი-ბაადურ ჯოზაგა 0.5:0.5, ვიქტორ ვარეჟნიკი-მიხეილ მჭედლიშვილი 0:1, ლევის მარტინი-ლევან ფანცულაია 0:1, ტომას იანკუნა-სი-დავით ჯოჯუა 0:1), ლისტენშტეინი-საქართველო (2) 0.5:3.5 (რენატო ფრიკი-დავით მაღალაშვილი 0:1, მარსელ მანჰარტი-თორნიკე სანიკიძე 0.5:0.5, ანდრეა გულერი-ირაკლი ბერაძე 0:1, დეიან ილელიჩი-გიგა ყუფარაძე 0:1), საქართველო (3)-მაკაუ 4:0 (ნოე თუთი-სანიკაი მენგ ვონგი 1:0, ლუკა ობოლაძე-სიკ ჰინ ლეონგი 1:0, ნიკოლოზ პეტრიაშვილი-ტონგ ქუან მაკი 1:0, ნიკოლოზ გაჭარავა-ჯოელ სელისი 1:0)... აშშ-პანამა 4:0, უგანდა-რუსეთი 0:4, ჩინეთი-მაროკო 3:1, ინდოეთი-ელ სალვა-დორი 3.5:0.5, ზამბია-უკრაინა 0.5:3.5, საფრანგეთი-იემენი 4:0, იაპონია-სომხეთი 0.5:3.5, ინგლისი-ანგოლა 3:1.

გამარჯვებულებსა და პრიზიორებს შეეცარეული სისტემით 11 ტური გამოავლენს.

ლუბო ცინცაძე

❹ რჩეულნი

სორვაბის სეზონი

ლუბა მოდრიჩი ფიფას ვერსიით მსოფლიოს 2018 წლის საუკეთესო ფეხბურთელი გახდა. მოგვსენებათ, ხმებს ფიფას წევრი ნაკრებების მთავარი მწვრთნელები და კაპიტნები აძლევენ, აგრეთვე ჟურნალისტები. ვლადიმირ ვასილან და ჯაბა კანგავასთან ერთად არჩევენი გაზეთ „სარბილის“ დამფუძნებელმა ზურაბ ფოცხვერიამ გააკეთა:

ვასის სამეული – ლუკა მოდრიჩი, ლიონელ მესი, კრიშტიანუ რონალდუ; ჯაბა კანგავას სამეული – ლუკა მოდრიჩი, კრიშტიანუ რონალდუ, ლიონელ მესი; ზურაბ ფოცხვერია – კრიშტიანუ რონალდუ, კევინ დე ბრუნი, ლუკა მოდრიჩი.

აქვე შეგახსენებთ, რომ ხმების საბოლოო მონაცემებით მოდრიჩის გარდა სამეულში კრიშტიანუ რონალდუ და მოჰამედ სალაჰი მოხვდნენ.

დანარჩენ ნომინაციებში საუკეთესოდ მიიჩნიეს:

მეწარე – ტიბო კურტუა (ბელგია); მწვრთნელი – დიდიე დეშამი (საფრანგეთი); ფეხბურთელი ქალი – მარტა (ბრაზილია); სეზონის გოლი – მუჰამედ სალაჰი (ეგვიპტე). სიმბოლური ნაკრები – დე სეა, ალვეში, რამოსი, ვარანი, მარსელო, მოდრიჩი, კანტე, აზარი, მესი, მბაპე, რონალდუ.



გიორგი შოთაძე

❺ თარიღი

ბელა კეცაშვილი - დაუფასებალი ჩემპიონი

რომ ნაკრების შემადგენლობაში მოხვედრილიყავი და ადგილი დაგემკვიდრებინა, მაგრამ ბელა კეცაშვილმა თავდაუზოგავი შრომისა და ნიჭის წყალობით ეს მოახერხა. დიდი ფეხბურთის კარი თბილისში ალბრდილმა ქუთაისის „ტორპედოს“ შემადგენლობაში შეაღო. მისი წარმატებული თამაში შემოქმედველი არ დარჩენია თბილისის „დინამოს“ ხელმძღვანელობას და ისიც ყველა ჭაბუკის საოცნებო გუნდში დაანინაურა.

თავის ხანმოკლე საფეხბურთო კარიერაში მას ინვესტდნენ კიევის „დინამოს“ შემადგენლობაში, აქტიურობდნენ მოსკოვის გუნდებიც, მაგრამ ქართველმა ფეხბურთელმა ყველა შეთავაზებაზე უარი განაცხადა. მიზეზი ის გახლდათ, რომ მის ამ ნაბიჯს სამშობლოს ღალატს დაუკავშირებდნენ კარს მომდგარი დამოუკიდებელი ეროვნული ჩემპიონატის დაწყების წინ

საფეხბურთო კარიერის და-

მთავრების მერე ძნელებდობის უამს თავისი შრომით მოპოვებული ჩემპიონის მედალი სახელმწიფო მუზეუმს უსახსოვრა. შემდეგ ეს მედალი ვილაც ქალბატონს თურქეთში გაჰქონდა გასაყიდად. საბედნიეროდ, იგი სარფის საბაჟოზე არ გაატარეს, თუმცა, მედალი კანონიერ მფლობელს არ დაუბრუნეს.



არსებობს სერიოზული ეჭვი მისი არამიზნობრივი გამოყენებისა. რატომღაც, ამ ღირსეულ ფეხბურთელს საკუთარმა ქვეყანამ გარჯა არ დაუფასა და 2004 წლიდან იგი უმუშევარია. მსოფლიო ფონდი „ქართუს“ და არსების დღიდან იღებს გარკვეულ გასამრჯელოს და ცხოვრობს თავის მრავალრიცხოვან

ოჯახთან ერთად. ტყუილად კი არ ბრძანებდა დიდი კონსტანტინე გამსახურდია: ქართველებს გვიჭირს ალღოიანი, წარმატებული ადამიანების დაფასება, ჩვენთან ხომ სამართალი ურმით დადის. ამის უამრავი მაგალითი არსებობს, მაგრამ დასკვნების გაკეთებას არავინ ცდილობს, ბელა კეცაშვილის მაგალითი სწორედ ამის დასტური გახლავთ. წერილს ქართული ფეხბურთის პატრიარქის ანდრო ჟორდანიას სიტყვებით დავასრულებთ „ვიზრუნოთ ქართული ფეხბურთის გასაძლიერებლად და ყოველთვის გვახსოვდეს, რომ სპორტი ერის ღონეა!“ ისიც გასათვალისწინებელია, რომ წარსულის დაავინწყებას ქვეყნისთვის არანაირი სიკეთე მოუტანია.

როგორც ქართული ფეხბურთის რიგითი გულშემატკივარი, დიდი სიამაყის გრძნობით და პატივისცემით მივულოცავ 30 წლის წინანდელ ღირსეულ და ისტორიულ გამარჯვებას ერთადერთ ქართველ ოლიმპიურ ჩემპიონს ფეხბურთში ბელა კეცაშვილს.

ბაჟან ჩხიძე

მხარის განცხადება

„მიხეილ ჯავახიშვილი – შენიჩული გენიოსი“:

მარნეულში დიდი მხარალი გაიხსენეს

მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედების პოპულარიზაციის მიზნით, ქალაქ მარნეულში, მიხეილ ჯავახიშვილის ძეგლთან გაიმართა საღამო სახელწოდებით: „მიხეილ ჯავახიშვილი – შენეირული გენიოსი“. სკვერში მისულ სტუმრებს შესაძლებლობა ჰქონდათ, მოესმინათ და გასცნობოდნენ მიხეილ ჯავახიშვილის მოღვაწეობის ბოლო პერიოდს. მოეწყო მუზეუმი ღია ცის ქვეშ, სადაც წარმოდგენილი იყო სოფელ წერაქვის მიხეილ ჯავახიშვილის სახელობის მუზეუმის რეტროსპექტივა.

ადგილზე განთავსდა სოფელ წერაქვში, მწერლის სახლ-მუზეუმში დაცული ექსპონატები. ასევე, უჩვენეს აუდიო-ვიზუალური მასალა, რომელიც ასახავდა მწერლის ცხოვრებიდან რეალურ-ისტორიულ მოვლენებს, და რომელიც მიხეილ ჯავახიშვილის ქალიშვილს – „მოგონებები და განცდები მამის დაპატიმრებაზე“ – ეკუთვნის.

ღონისძიებაში მონაწილეობდნენ როგორც ადგილობრივი, ასევე მოწვეული სტუმრები. მონაწილეებმა წაიკითხეს მცირე ამონარიდები ჯავახიშვილის შემოქმედებიდან და ისაუბრეს საზოგადოებისათვის ნაკლებად ცნობილ ფაქტებზე და მოვლენებზე მწერლის ბიოგრაფიიდან. სიტყვით გამოვიდნენ თემურ ჩალაბაშვილი, ზაქარია ბოტიკოველი, ლალი ცომაია, ბადრი ქუთათელაძე, თამარ შაიშველაშვილი, ციცინო ბაბუციძე, მარიამ ჯავახიშვილი, გულნაზ გვალია, თათია შენგელაია, მამუკა ნავერიანი, მარიამ უგრესელიძე და სხვები.

თემურ ჩალაბაშვილი, საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე:

„მართლაც აქ კი არა, მიხეილ ჯავახიშვილის დღეები, როგორც დიდი ეროვნული მწერლის, ილიას სულიერი მემკვიდრის ყველგან უნდა იმართებოდეს. ბევრი დღე უნდა გაგმართოთ მიხეილ ჯავახიშვილისა. ეს სკვერი ყველაზე უპრიანია, მშვენიერი ადგილია. აქვეა საჯარო ბიბლიოთეკა, რუსთაველის ქუჩა. არ შემოიღია, არ ვთქვა, ნოდარ წულეისკირი, ასე მგონია, მისი მემკვიდრეა. მან მთელი შეგნებული ცხოვრება აქ გაატარა, აქ შესწირა თავი მწერლობას და აქვე დაიმარხა. ეს არის დიდი ბედნიერება, მწერ-



ლის მორალი, რომელიც უნდა ჰქონდეს ქართველ მწერალს.

როდესაც ჩემი პატარა ნიგნი გამოვიდა, იქ შევიტანე მიხეილ ჯავახიშვილისადმი მიძღვნილი ერთსტროფიანი ლექსი, რომელიც მწერლის ქალიშვილს, ქალბატონ ქეთევანს თვითონ მოუძიებია. გაოცებული დავრჩი, როდესაც მასთან მივედი და მიხეილის აზრებში ჩემი პატარა ლექსიც ეკიდა. ეს ჩემთვის უდიდესი ბედნიერებაა. აი, ეს ლექსიც – „მიხეილ ჯავახიშვილის მონოლოგი“:

„მეცდარმა როგორღა მოვიკლა თავი,
მსხვერპლი ასეთი როგორ გავიღო,
ვერ მიპოვია ჩემი საფლავი,
რომ ჩემზე ხელით დავათარილო“.

თათია შინგელაია, წერაქვის მიხეილ ჯავახიშვილის სახელობის მუზეუმის დირექტორი:

„მიხეილ ჯავახიშვილი – შენეირული გენიოსი“, ულამაზესი საღამო, მადლობა მერიას და კულტურის სახლს ასეთი არაჩვეულებრივი სტუმრების ჩამოყვანისათვის ჩვენს მარნეულში. ყველანი მივესალმებით ამ გენიოსის სახელობის სკვერის გახსნის იდეას, მისი ძეგლის სიხალისეს.

მიხეილ ჯავახიშვილი იმდენად მისაბაძია, როგორც ერის კაცი, რომ იგი სამაგალითოა თითოეული ადამიანისათვის, ვისაც კი პრეტენზია აქვს, იყოს თავისი ქვეყნის პატრიოტი და ნებისმიერი სახით მისი სახელისათვის პატივის მიცემა, ჩვენი მხრიდან საზღვარსა, იმისა რომ ჩვენ გვჭირდება მსგავსი ადამიანი, ანუ მისი მემკვიდრე და გამგრძელებელი. საღამოზე ჩემთვის ძალიან საპატივცემულო ადამიანებმა, კერძოდ, ბატონმა თემურ ჩალაბაშვილმა და რობერტ პეტრიაშვილმა, ბაბუაჩემი ნოდარ წულეისკირი მოიხსენიეს, როგორც მიხეილის მემკვიდრე, პირადად მე სული გამითბო მათმა სიტყვებმა, უფალმა ინებოს, ჩვენ შევძლოთ, ჩვენი საქმიანობით ვიყოთ მიხეილის და მისი სულიერი მემკვიდრის გამგრძელებელნი. მადლობა ყველას ამ დასამახსოვრებელი დღისთვის. მადლობა სტუმრებს, გულიდან ამომავალი, ლანგრით მორთმეული ადამიანური სიყვარულის გამოხატველი სიტყვებისთვის“.

თამარ შაიშველაშვილი

ეპიტაფია

ქართულ სიტყვას რუსულ სამყაროში ასოცხლავდა ვლადიმერ სარიშვილი

თანამედროვე ქართულმა მწერლობამ მეტად სამწესარო დანაკლისი განიცადა.

გარდაიცვალა თვალსაჩინო ქართველი პოეტი და მთარგმნელი ვლადიმერ სარიშვილი.

ჩვენს სამწერლო ოჯახს გამოაკლდა ღრმად ნიჭიერი შემოქმედი, მთარგმნელი და ლიტერატურის მცოდნე, რომელმაც დიდი ღვაწლი დასდო ქართული მწერლობის პოპულარიზაციასა და პროპაგანდას რუსულენოვან სამყაროში, როგორც ბრწყინვალე მთარგმნელმა პირველხარისხის ქართველ პოეტთა ნაწარმოებებისა...



ვლადიმერ სარიშვილი დაიბადა 1963 წლის 23 აგვისტოს თბილისში. უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ იგი მთლიანად შემოქმედებით მოღვაწეობაზე გადაერთო.

ვლადიმერ სარიშვილი ჩინებული პოეტი იყო. მისი უაღრესად საინტერესო, ლირიზმითა და ტრაგიზმით გაჯერებული შემოქმედება თითოეულ ჩვენგანს დიდ ადამიანურ ვნებებთან და განცდებთან გვაზიარებს. მისი პოეტური კრებულებები „ლექსები, პოემები, მთარგმანები“, „აფტიერ ლაიფი“, „შემოდგომის ალოობა“, „ლორდი მარლბორო“ ჭეშმარიტი პოეზიის სურნელობითაა გაჟღერებული და თანამედროვე პოეზიის ორგანულ ნაწილად გვესახება.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ედგარ ალან პოს „ყორანის“ მისეული მთარგმანები, რომელთაგან ორი ვარიანტი შევიდა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის საიუბილეო კრებულში, „ლიტერატურული ძეგლების“ სერიით რომ გამოიცა და ლიტერატურული სამყარო ააღაპრა, როგორც მთარგმნელობითი ხელოვნების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიღწევას.

ვლადიმერ სარიშვილი თანამედროვე და შემდგენელი იყო კრებულისა „კონსტანტინე გერასიმოვი. დაბრუნება“.

ვლადიმერ სარიშვილი წლების განმავლობაში გატაცებით იკვლევდა სონეტოლოგიის პრობლემას. გამოკვლევისათვის „ჰ. ბალმონტის სონეტები“ მას ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის წოდება მიენიჭა. იყო ფილოლოგიის დოქტორი. ფართო იყო მისი მეცნიერული თვალსაწიერი და ამის დასტურია მეცნიერული სტატიები ედგარ ალან პოს, კნუტ ჰამსუნის, კონსტანტინე გერასიმოვის, ადამ მიცკევიჩის, ვალერიან გაფრინდაშვილის, ალექსანდრე პუშკინის, მიხეილ ლერმონტოვის, თეოდორ დოსტოვესკის, ვალერი ბრიუსოვის, მიხეილ ვოლოშინის, ლევ ტოლსტოის, ჯორჯ გორდონ ბაირონის შემოქმედების შესახებ.

ვლადიმერ სარიშვილი აქტიურად მონაწილეობდა სალიტერატურო ცხოვრებაში. იგი მრავალ საერთაშორისო კონფერენციაზე გამოსულა მოხსენებით, კურატორობდა საქართველოს ახალგაზრდა რუსულენოვან ლიტერატორთა კონკურსს, ხელმძღვანელობდა პროექტს „სამხრეთ კავკასიის კულტურა და ლიტერატურა“, მონაწილე და წამყვანი იყო სანგაპეტერბურგში გამართული სამეცნიერო კონფერენციისა, რომელიც ილია ჭავჭავაძის დაბადების 175 წლისთავს მიეძღვნა.

ვლადიმერ სარიშვილი ნაყოფიერ საზოგადოებრივ მოღვაწეობას მწერდა. არჩეული იყო საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის, რუსეთის მთარგმნელთა კავშირის, დსთ-სა და ბალტიის ქვეყნების მთარგმნელთა კავშირის წევრად, საქართველოს რუსულენოვანი მწერლობისა და კულტურის მოღვაწეთა ასოციაცია „ნოვი სოვრემენიკის“ პრეზიდენტად. სხვადასხვა დროს მუშაობდა კორესპონდენტად და საკუთარ კორესპონდენტად სოლიდური სალიტერატურო და საზოგადოებრივი პრესის ორგანოებისა. 1994-97 წლებში ხელმძღვანელობდა საქართველოს კულტურის სამინისტროს პრესცენტრს.

ვლადიმერ სარიშვილი დაჯილდოებული იყო ივანე მაჩაბლის, მაყვალა მრეველიშვილის, იური დოლოგორუკის სახელობისა და „ელცინის ფონდის“ პრემიებით. მინიჭებული ჰქონდა უკრაინის მწერალთა ეროვნული კავშირის საპატიო მედალი.

ჩვენ, ვლადიმერ სარიშვილის მეგობრებს, ძალზედ გვწყდება გული, რომ იგი ვერ მოესწრო ქართული პოეზიის ორტომეულის რუსულ ენაზე გამოცემას, იმ ორტომეულისა, რომლის შექმნაში და გამოცემაში მან ლომის წილი შეიტანა.

ქართველ მწერლებს მუდამ ემასხოვრებათ ვლადიმერ სარიშვილი – პოეტი, მთარგმნელი, მეცნიერი, გულანთებული პატრიოტი თავისი მშობელი ქვეყნისა.

საქართველოს მხარალთა კავშირი

80 წლის ბაი მოხუცი ლეა სხეა

თბილისის საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და დედის მიმართ განხორციელებულ ძალადობის ფაქტზე ბრალდებული ხ.ბ. დამნაშავედ ცნო.

2018 წლის 15 ივლისს ხ.ბ. სიცოცხლის მოსპობის და ჯანმრთელობის დაზიანების მუქარით დედამისს ნ.გ.-ს აიძულებდა, საკუთარი ნება-სურვილის საწინააღმდეგოდ მისთვის 80 ლარი მიეცა.

სამართალდამცველებმა ხ.ბ. 2018 წლის 19 ივლისს დააკავეს. თბილისის საქალაქო სასამართლომ ხ.ბ. დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად 6 თვით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა. მას ასევე დაეკისრა ჯარიმა – 500 ლარის ოდენობით.



მკვლელობა თუ თვითმკვლელობა?

დიმიტრი ტატიშვილი, რომელმაც დიდ დილოში, კორპუსის ბაზაში გზაში აუზი დაუდგა, საკუთარ სახლში გარდაცვლილი იპოვეს. შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მომხდარზე გამოძიება 115-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც თვითმკვლელობაზე მიყვანას გულისხმობს.

დიმიტრი ტატიშვილს მეუღლე და ოთხი შვილი დარჩა.

თბილისში, ქვეთარაქის ქუჩაზე საქაქო ჯიხუჩი გააჩვენეს

ჯიხუჩი ნიღბიანი მამაკაცი შეიჭრა, გამყიდველმა ქალმა თავდამსხმელს წინააღმდეგობა გაუწია და მათ შორის ფიზიკური შესლა-შეშორება მოხდა.

მამაკაცმა დანის მუქარით 55 ლარის წაღება შეძლო. სამართალდამცველებს დამნაშავე, ჯერჯერობით, არ დაუკავეს.

გუჯი ამაშუკელის დაბრუნება

მსოფლიოში ცნობილი ქართველი მოქანდაკე, ხელოვნების დარგში უმაღლესი ჯილდოს – ხელოვნებისა და ლიტერატურის ორდენის კავალერი, საფრანგეთის რაინდის ორდენოსანი, „ხელოვნების მეტრად“ აღიარებული გუჯი ამაშუკელი 44-წლიანი ემიგრაციის შემდეგ პირველად ესტუმრა სამშობლოს.

ვიზიტის მიზნები მის მიერ „ვეფხისტყაოსნის“ უნიკალური ხელნაწერისთვის შექმნილი ორიგინალური



ჭედური ყდაა სახელგანთქმული სკულპტორის პირველი სამუშეო ნაკეთობა, რომელიც საქართველოსთვის შეიქმნა. ამ ნამუშევრის წარდგინება ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმში შედგა და ქართულ საზოგადოებას მისი ნახვის საშუალება ორი დღის განმავლობაში მიეცემა.

ეროვნული მნიშვნელობის უნიკალური საგანძურის ჭედური ყდა, გუჯი ამაშუკელის ავტორობით, შექმნილია ვერცხლისგან და გამოყენებულია 20-მდე დასახელების ძვირფასი ქვა – სერპანტინი, პირინი, ქვა, ნაცრისფერი და წითელი იასპი, ამეთვისტო, მთის ბროლი, ვარდისფერი კვარცი, აქატი, სოდალიტი, ქალცედონი, ლაზურიტი, შვედარდის თვალი, ამაზონიტი, ავანტური, ტანზანიტის იასპი... ნამუშევარში ასევე გამოყენებულია მეტეორიტის ქვები.

წარდგინების შემდეგ, რამდენიმე დღეში, „ვეფხისტყაოსნის“ უნიკალური ეგზემპლარი აშშ-ში, ნიუ-იორკში გაიგზავნება, სადაც ის განთავსდება გაეროს არტ კოლექციაში, როგორც ქართული კულტურის უნიკალური ნიმუში.

რეზა თოფური



საქართველოს
რესპუბლიკა
**SAKARTVELOS
RESPUBLIKA**
კოსტავას ქ. №21

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
299-02-10
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გომიშვილი
599 53-76-16;

ალეკო
ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაქიძე
514 33-33-24

გამომცემლობა:
შპს „თანამდგომარეობა“-გაზეთ
„საქართველოს რესპუბლიკის“
გამომცემელი
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაქ)070.4(479.22)
ს-323



ავტორთა
საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ
შეუძვეთავე მასალები
დაიბეჭდება ავტორთა
ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები,
შეხატულება, მუდამ
არ ემთხვეოდეს რედაქციის
პოზიციას.
ფაქტების სიზუსტეზე
პასუხს აგებენ
ავტორები.

„საქართველოს
რესპუბლიკა“
შენი გაზეთია.
აუცილებლად
გამოიწერა.
იყიდა.
წაიკითხე!

(გეომეტრიკა გეომეტრიკა)

იმავ 2012 წლის 6 მაისიდან დაწყებული, აზერბაიჯანელმა მესაზღვრეებმა დაკავებულ ნაწილში შესვლა აუკრძალეს ქართველ მლოცვეებს, მღვდლებს და პოლიტიკოსებს. საქართველოს ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის ტერიტორიიდან აზერბაიჯანის მხრით 2% ეკუთვნის – უდაბნოს მონასტერი. მეზობლებს შორის სადავო ტერიტორიად რჩება კიდევ ერთი დასახლებული პუნქტი – სოფელი ერისიმიდი, რომლის ისტორია ასეთია: 1970-იანი წლების ბოლოს, მდინარე ალაზნის სიღრმის რაიონში, სადაც საქართველოს და აზერბაიჯანის ტერიტორიებს ჰყოფდა, კალაპოტი შეიცვალა და მიწის გარკვეული ნაწილი მდინარის გაღმა, საქართველოს მხარეს აღმოჩნდა. 1980-იანი წლების ბოლოს საქართველოს ხელისუფლებამ მიწის იმ ფართობზე სოფელი გააშენა და იქ აჭარალეს და ქისტები (ახმეტის რაიონის პანკისის ხეობიდან) ჩაასახლა. დღეს აზერბაიჯანის ხელისუფლება აცხადებს, რომ დავით გარეჯის კომპლექსის ტერიტორიის ნაწილი და სოფელი ერისიმიდი მას ეკუთვნის. ამასთანავე, ზოგიერთი ქართველი ისტორიკოსი თვლის, რომ ისტორიული

დავით გარეჯი და ერისიმიდი - საქართველოსა და აზერბაიჯანის ურთიერთობის აქტუალური პრობლემა

მხარე ჰერეთი, რომელიც ამაჟამად აზერბაიჯანის საზღვრებშია, საქართველოს ეკუთვნის.

კავკასიის გარემოს დაცვის ორგანიზაციის (CENN) მოხსენებაში აღნიშნულია, რომ მდინარე ალაზნის გასწვრივ, რომელიც საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე გაედინება, გამოვლენილია 69 ადგილი, სადაც ცვლილებები მოხდა. მათგან 42 შემთხვევაში საზღვარი საქართველოს სიღრმეშია გადატანილი, 27 შემთხვევაში კი – აზერბაიჯანის სიღრმეში.

ქართულ-აზერბაიჯანულ ურთიერთობებში დამატებითი გამოწვევას ქართული საზღვრების დაზიანება ქვემო ქართლის (ბორჩალოს) რეგიონი, რომელიც ეთნიკური აზერბაიჯანელებითაა დასახლებული. აზერბაიჯანული სახელწოდებების გადაქართვლა, სასკოლო განათლების ქართულ სისტემაზე გადაყვანა, მიწისა და საკადრო პრობლემები – ეს ყველაფერი ადგილობრივი



აზერბაიჯანელი მოსახლეობის გაიზიანებას იწვევს.

საქართველოს მთავრობა პოსტსაბჭოთა პერიოდში ქვემო ქართლში მოსახლეობის, ძირითადად სვანების ჩასახლებას ახორციელებდა და ამის მიზნად სტიქიურ უბედურებას ასახელებდა. სვანების ჩასახლების გამო აზერბაიჯანულ და ქართულ თემებს შორის ხშირია შესხალ-შემოსლა. ქვემო ქართლის აზერბაიჯანელი მოსახლეობის საპროტესტო აქტიურობა აზერბაიჯანში პატრიოტულ გამოძახილს იწვევს.

საქართველო, აზერბაიჯანის სტრატეგიული პარტნიორი, ჩაბმულია ბაქოს მიერ ინიცირებულ გლობალურ ტრანსკონტინენტურ ინტეგრაციულ პროექტებში და იმ დროს, როცა თბილისი პრიორიტეტს ანიჭებს (სომხეთის სასარგებლო) რაღაც პიპოტეტურ და ჩრდილოვან სავაჭრო დერეფნებს, ნებისმიერ შემთხვევაში, რეალური პრეფერენციების (მოგების) დაკარგვის რისკის წინაშე დგება

– იმ პრეფერენციებისა, რომელსაც ენერგეტიკული და სატრანსპორტო კომუნიკაციური პროექტებით იღებს.

იმავდროულად თბილისი, რომელიც ერევნის უსაფუძვლო მცდელობებს აქეზებს, ამით სომეხ აგრესორებს დანაშაულებრივ „გმირობებისაკენ“ უბიძგებს, რაც, საბოლოო ჯამში, სამხრეთ კავკასიაში ახალ რისკებს ბადებს. იმ საეჭვო იდეებთან და მცდელობებთან დაბლოკვა, რომლებშიც რეგიონული სტაბილურობის დამანგრეველი ქვეყანა (სომხეთი) მონაწილეობს და საიდანაც ის საკუთარი მდგომარეობის შემსუბუქებას ელოდება, გარდაუვალი ხდება. ბაქოს აქვს ერევნის ყველა იმ ინიციატივის გასაწეობის უფლება, რომლებიც აზერბაიჯანის ინტერესებს ზიანს აყენებს. ამასთან, იმედი გვაქვს, რომ საქართველოსა და აზერბაიჯანის ურთიერთობა მომავალშიც მეგობრული და სანდო ხასიათისა დარჩება, – ხაზგასმულია პუბლიკაციაში.

100 წლის გაზეთი თქვენს დახმარებას ითხოვს

დემოკრატიულ საქართველოსთან ერთად დაბადებულ, დღეს 100 წლის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა“ ფინანსურად უკიდურესად გაუჭირდა. სწორედ ამიტომ ითხოვს გაზეთი მამულიშვილთა უანგარო მხარეში დგომას, ხელის გამართვას.

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 100 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიში: №GE19TB7601536020100009. (შპს „ახალი საუკუნე“).



უხსოვარი პალატის კარსი:

აშუ ფოლარი - 2.6226; პირი - 3.0868;
ბრიტანული ბიკანა სტარლინი - 3.4416;
100 რუბლი - 3.9814; თურქული ლირა - 0.4228;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5473;
1000 სომხური დრამი - 5.4411.

აქილი 26 სექტემბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:

ბარა -	ლაპი	+13, ლაპი	+28
მთიანი რაიონები -	ლაპი	+8, ლაპი	+25
დასავლეთი საქართველო:			
ბარა -	ლაპი	+14, ლაპი	+25
მთიანი რაიონები -	ლაპი	+6, ლაპი	+23
თბილისი:	ლაპი	+18, ლაპი	+27

დაავიკაპით, მოგვწერეთ:

ტელ: 299-02-10,
599-79-76-79

ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge